დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ფიცხელაური

წევრები:

ბ) ნინო სარაული (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) რომანი გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) ნინო კილაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240890853

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) მცხეთა	ქარელის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ქარელი, 26 მაისის ქ. N1
ფაქტობრივი მისამართი	ქარელის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ქარელი, 26 მაისის ქ. N1
საფოსტო ინდექსი	4500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kareli1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	598135199

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	19/02/2026 ბრძანება MES 0 26 0000188992
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2026 წლის 19 და 20 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ქარელი, 26 მაისის ქ. N1
2	ზოგადიგანათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ქარელი, 26 მაისის ქ. N1
3	ზოგადიგანათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ქარელი, 26 მაისის ქ. N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 19 და 20 მარტს, სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ადგილზე ვიზიტი განახორციელა ხარისხის ორმა ექსპერტმა , ხოლო იმის გათვალისწინებით , რომ აღნიშნული სკოლა ახორციელებს სამ საფეხურს, საგნობრივი ექსპერტების მიერ შემოწმდა და შეფასდა შემდეგი პროგრამები:
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი -დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი--დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი-დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი- დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი- დაწყებითი;
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი--დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო;
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი--დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
სპორტის საგნობრივი ექსპერტი- დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი- I-VI კლასის კურიკულუმის რევიზია სპეციფიკის გათვალისწინებით).
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს-სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებს, მშობლებს და საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს.
ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 800	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	ვინაიდან სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს ექიმის დასაქმების ვადები (12/23/2025 - 12/23/2027) , **მიზანშეწონილია სკოლამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება**, რათა სრულად დაკმაყოფილდეს სამედიცინო მომსახურების სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში- 2026 წლის 23 დეკემბრამდე წარმოადგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს შენობის კონსტრუქციულ მდგრადობასა და უსაფრთხოებას, რათა სრულად იქნას დაცული უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნის სტანდარტი. (იხ.ინდიკატორის აღწერა)
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2026 წლის 23 დეკემბრამდე გააგრძელოს ექიმის კადრის მოძიების პროცესი და განმეორებითი კონკურსების გზით უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება. (იხ.ინდიკატორის აღწერა)
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური	სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2026 წლის 23 დეკემბრამდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო

	რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	ლაბორატორიის აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-ლაბორატორიული ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისთვის საჭირო პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა და დაცული იყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ დადგენილი მოთხოვნები. (იხ.ინდიკატორის აღწერა)

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
3.3.2.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა	სასურველია სკოლამ შეიმუშავოს ფორმალური სისტემა უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების პროცესისთვის, რაც ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს ეფექტურად გაითვალისწინოს მშობელთა მოსაზრებები, საჭიროებები და ინიციატივები, გააძლიეროს მართვის პროცესების გამჭვირვალობა და გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა. (იხ.ინდიკატორის აღწერა)
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან	სკოლას აქვს სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, რომელიც **უარყოფითია,** შესაბამისად მიზანშეწონილია გაგრძელდეს აქტიური კომუნიკაცია და მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხოების ნორმების სრული შესრულება.(იხ.ინდიკატორის აღწერა)

	შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სასურველია სკოლამ სამართლებრივი ვალდებულებების, ასევე უსაფრთხოების სისტემური მართვის უზრუნველსაყოფად **დაასაქმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი**. (იხ.ინდიკატორის აღწერა)

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	**რჩევა**
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმებში ყველა შუალედური მიზნის/დავალების იდეის გრაფაში დაკონკრეტებული იყოს და მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ, მაგ. ეს შეიძლება იყოს პოსტერი, სტატია, დღიური, ვიდეორგოლის მომზადება და ა.შ. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ჰქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის კურიკულუმებში თემატური ბლოკის/თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება .
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სახელმწიფო ენა** სკოლის სახელმწიფო ენის ზოგიერთი კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტს აკლია (ან არეულია) სავალდებულო კომპონენტები (მაგ: VII – XI კლასებში- ტექსტები/კონტექსტ- მაგალითებით , მითითებულია საკითხებად) სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში სწორად და სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი მისი შემადგენელი ელემენტები.

2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**მათემატიკა** რჩევა: სასურველია III კლასის კურიკულუმში დაემატოს შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელიც მოსწავლის ყოველდღიურ გამოცდილებას დაუკავშირდება. V, VI, VII კლასში რამდენიმე პატარა დავალებების ჩამონათვალი შეიცვალოს ერთიანი პრაქტიკული დავალებით - ისევე, როგორც ეს სხვა კლასებშია გაკეთებული. VIII კლასში კი დაკონკრეტდეს „სააზროვნო, ინტელექტუალური, გასართობი" დავალების შინაარსი, რათა მასწავლებელს და მოსწავლეს ნათელი იყოს, რა კონკრეტულად მოეთხოვებათ. სასურველია, ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ერთნაირი შაბლონი დოკუმენტს უფრო გასაგებს და გამოსაყენებელს გახდის.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია დაწყებით საფეხურზე „ჩვენი საქართველოს“ მე-5 კლასის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემის დამუშავება, გაწერილია სამი სავალდებულო თემა: ქართლი, სამეგრელო, სვანეთი და დასამატებელია იმერეთისა და აჭარის თემები. სასურველია ასევე ერთი თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**მათემატიკა** მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, რამდენად შეესაბამება სასწავლო პროცესი კურიკულუმში დაგეგმილს, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტის პრაქტიკულ გამოყენებას.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია დაწყებითი და დაბაზო საფეხურის მუსიკის კურიკულუმებში ჩაშენდეს ის მრავალფეროვანი რესურსები,რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,	**მათემატიკა**

	მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია III, V და VI VII, VIII, კლასის კურიკულუმებში დაემატოს ციფრული რესურსები, ასევე სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება სამივე საფეხურზე, ყველა კლასში ბმულების მითითება იყოს კონკრეტული გაკვეთილის დასახელებით, რათა მასწავლებელს რესურსის პოვნა და გამოყენება გაუადვილდეს. (მაგ. შესაძლოა ყველა რესურს გაუკეთდეს მსგავსი აღწერა: „ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა: სამკუთხედების მსგავსება).
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**მათემატიკა** მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს, რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კონკრეტული სტრატეგიები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სასწავლო პროცესში რეალურად გათვალისწინებული იყოს.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია დაწყებით (ჩვენი საქართველო), საბაზო (ისტორია) და საშუალო (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) საფეხურებზე საგნების ფარგლებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, რომ საშუალო საფეხურის (მუსიკის/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების) შეფასების რუბრიკები უფრო დაიხვეწოს, მოერგოს კონკრეტული პროექტის შინაარსსა და მიზნებს, და მკაფიოდ წარმოაჩინოს მოსწავლის მიღწევის დონე თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სახელმწიფო ენა** წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვს, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და

		ამოცანებს, თუმცა სასურველია სამივე საფეხურზე სკოლას ჰქონდეს შემუშავებული შეფასების რუბრიკები კონკრეტულ თემებთან და შუალედურ სასწავლო მიზნებთან მიმართებაში.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**მათემატიკა** მიზანშეწონილია კათედრამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები ყველა საფეხურისა და ძირითადი თემისთვის და უზრუნველყოს, რომ ისინი რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესში.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სპორტი** სასურველია შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში გაწერილი ყველა თემაზე
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური სასურველია, მსგავსი ტიპის რუბრიკები გამოიყენოთ მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშაოთ ახალი დავალებები და აქტივობები
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ 2026-2027 წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს გაითვალისწინოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და ყოველწლიურად შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/ძირითადი საკითხების სხვაგვარად გადაჯგუფება; სასწავლო რესურსის დახვეწა/სხვა რესურსებით ჩანცვლება; ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული დავალებების პირობის ადაპტირება, შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება; შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და მათთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირების შეცვლა/განსხვავებულად დაჯგუფება; აქტივობებისა და დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა, რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის

		კონსტრუირება.
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**მათემატიკა** მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესის წარმართვისას და არა მხოლოდ დოკუმენტაციის მიზნით. ამისათვის სასურველია ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, თუ რამდენად ეყრდნობა მასწავლებელი კურიკულუმს პრაქტიკაში.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**სახელმწიფო ენა** უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებად გვხვდება მხოლოდ ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველოს კონკრეტულ თემებთან და საკითხებთან მიმართებაში გაწერილი შეფასებების რუბრიკების შემუშავება , სამიზნე ცნებებისა და შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**მათემატიკა** მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკები შემუშავდეს სხვა კლასებისა და თემებისთვისაც, რათა შეფასების სისტემა სკოლაში თანმიმდევრული და სისტემური იყოს. ასევე სასურველია შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის, ყველა მოსწავლეს თემის დაწყებამდე გაეცნოთ - ეს პრაქტიკა შეფასებას უფრო გამჭვირვალეს და სამართლიანს გახდის
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ყოველწლიურად ახორციელებდეს დამხმარე რესურსების შეფასებას/შერჩევას მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებასა და მიზანმიმართულობას.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**სახელმწიფო ენა** უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებად გვხვდება მხოლოდ ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველოს კონკრეტულ თემებთან და საკითხებთან

		მიმართებაში გაწერილი შეფასებების შემუშავება , სამიზნე ცნებებისა და შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**მათემატიკა** სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**ტექნოლოგიები** სასურველია სკოლამ წარმოადგინოს მოთხოვნა შესაბამისი რაოდენობის საჭირო ტექნიკაზე განათლების სამინისტროში;

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც ასახულია შესაბამის დოკუმენტში და განსაზღვრავს სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს .

მისიის მიხედვით, სკოლა ორიენტირებულია მაღალი აკადემიური ცოდნის მიღებაზე, კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის უნარების, პასუხისმგებლობისა და ჯანსაღი ღირებულებების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებაზე. მისიის ფორმულირება მოიცავს მოსწავლის შესაძლებლობების ოპტიმალური შეფასებისა და ცხოვრებისეულ რეალიზაციაზე ორიენტირების პრინციპს, რაც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

სკოლის ხედვაში განსაზღვრულია, რომ კურსდამთავრებული უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელ თავისუფალ პიროვნებად, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი უფლება-მოვალეობები საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, შეუძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, ინფორმაციის მოპოვება და ეფექტიანად გამოყენება, ბუნებრივი გარემოს დაცვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა. ხედვაში ასევე ხაზგასმულია ადამიანის უფლებების პატივისცემის, დემოკრატიული ღირებულებებისა და პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბების მნიშვნელობა, რაც სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლის ღირებულებები, მათ შორის გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, განვითარებაზე და ინოვაციებზე ორიენტირება. აღნიშნული ღირებულებები მიმართულია სკოლის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შინაარსობრივად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და განსაზღვრავს სკოლის საქმიანობის მიმართულებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც განსაზღვრავს სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ასახავს მის როლს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოდ ჩამოყალიბებაში .

სკოლის მისიის მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესი მიმართულია მაღალი აკადემიური ცოდნის, კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის უნარების, პასუხისმგებლობისა და ჯანსაღი ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდისკენ. მისიის შინაარსი ხაზს უსვამს

მოსწავლის შესაძლებლობების განვითარებას, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარის ჩამოყალიბებასა და პიროვნულ რეალიზაციას, რაც უსაფრთხო და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.

სკოლის ხედვაში განსაზღვრულია, რომ კურსდამთავრებული უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელ, თავისუფალ და პასუხისმგებელ მოქალაქედ, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი უფლება-მოვალეობები საზოგადოების წინაშე, შეუძლია ინფორმაციის ეფექტიანად გამოყენება, გარემოზე ზრუნვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა. ხედვაში ხაზგასმულია კულტურული და ეროვნული ღირებულებების დაცვა, ადამიანის უფლებების პატივისცემა და დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინება, რაც სკოლას წარმოაჩენს როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას.

დოკუმენტში განსაზღვრული სკოლის ღირებულებები — გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა და განვითარებაზე ორიენტირება — ქმნის საფუძველს უსაფრთხო, სამართლიანი და მხარდამჭერი გარემოს ჩამოყალიბებისთვის. თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას და ხელს უწყობს პოზიტიური, უსაფრთხო და განვითარებისკენ მიმართული გარემოს შექმნას.

დოკუმენტის შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის მისია და ხედვა განსაზღვრავს სკოლის როლს როგორც უსაფრთხო, ღირებულებებზე დაფუძნებულ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი განხორციელდა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობით და აღნიშნული პროცესი დოკუმენტურად არის დადასტურებული.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის №2-195 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანს წარმოადგენდა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები), ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება. ბრძანებით განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლე, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში .

წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმის მიხედვით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, ჩატარდა მსჯელობა და მონაწილეებს მიეცათ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა. ოქმში ასახულია სხდომის მონაწილეთა სია, განხილვის საკითხები, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება მისიისა და ხედვის დამტკიცების შესახებ, რაც ადასტურებს პროცესის კოლეგიალურ და გამჭვირვალე ხასიათს .

დოკუმენტების ანალიზით დგინდება, რომ მისიისა და ხედვის შემუშავებისას გათვალისწინებულია სკოლის განვითარების საჭიროებები, სასკოლო საზოგადოების მოლოდინები და განათლების სფეროში არსებული მოთხოვნები. პროცესში მონაწილეთა მრავალფეროვანი

წარმომადგენლობა (ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლე) უზრუნველყოფს, რომ სკოლის ფილოსოფია ასახავს სასკოლო საზოგადოების საერთო ხედვას და ემსახურება უსაფრთხო, თანამშრომლობაზე დაფუძნებული და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით, ორგანიზებული და დოკუმენტურად გამართული პროცედურების საფუძველზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და გამოყენებულია სკოლის საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. მისია და ხედვა განსაზღვრავს სკოლის ძირითად პრიორიტეტებს, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო გარემოს შექმნასთან, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ განათლებასთან, თანამშრომლობასთან და დემოკრატიულ ღირებულებებთან, რაც აისახება როგორც სასწავლო, ისე სააღმზრდელო აქტივობებში.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მისია და ხედვა გამოიყენება სასკოლო ღონისძიებების, პროექტების, კლუბური საქმიანობისა და გადაწყვეტილებების დაგეგმვისას. პედაგოგების განმარტებით, სასწავლო პროცესში ყურადღება ეთმობა თანამშრომლობას, პასუხისმგებლობის გაზრდას, მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებასა და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, რაც შესაბამისობაშია სკოლის ღირებულებებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მიზნით გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე ე.წ. "სკოლების პორტალზე" :https://skolebi.emis.ge/schools სადაც ნებისმიერი ადამიანისთვის აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება, რომელიც განსაზღვრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N 448 ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანების შესაბამისად, სრულიად შეესაბამება სკოლის სტატუსს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ვებ.გვერდისა და სოციალური გვერდის მისამართები

შეფასება:

ο გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
ο შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 დეკემბრის N2-194 ბრძანებით დამტკიცებული „ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს დაგეგმვის პროცესის ეტაპებს, ჩართულ მხარეებსა და გადაწყვეტილებების მიღების წესს. მეთოდოლოგია დამტკიცებულია დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და განსაზღვრავს დაგეგმვის პროცესის თანამონაწილეობით ხასიათს, რაც შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის ფორმატში, რომელიც იქმნება დირექტორის ბრძანებით და მოიცავს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს. მეთოდოლოგიაში სასკოლო საზოგადოებად განსაზღვრულია დირექცია, მასწავლებლები, სხვა თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესში სხვადასხვა ინტერესის გათვალისწინების შესაძლებლობას.

მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპიც, რომელიც მოიცავს სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გამოვლენას, არსებული მდგომარეობის შეფასებას და მონაცემებზე დაფუძნებულ დაგეგმვას. დოკუმენტში მითითებულია, რომ დაგეგმვის პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გამოკითხვა, ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი და სხვა კვლევითი მეთოდები, ხოლო მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პრიორიტეტების განსაზღვრისას.

დაგეგმვის პროცესში თანამონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, მეთოდოლოგია ითვალისწინებს დოკუმენტების პროექტების განხილვას სამუშაო ჯგუფში, ასევე მათ გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა წარმოადგინონ მოსაზრებები და რეკომენდაციები. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, რაც უზრუნველყოფს კოლეგიური ორგანოების მონაწილეობას პრიორიტეტების საბოლოო ჩამოყალიბებაში.

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025–2032 წლები), რომელიც განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, რაც შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სტრატეგიული დოკუმენტების დამტკიცებისათვის მოქმედ სამართლებრივ მოთხოვნებს .

სტრატეგიული გეგმა სტრუქტურულად ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და დოკუმენტის საწყის ნაწილში წარმოდგენილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებზეც აგებულია შემდგომი სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა მიზნად ისახავს სკოლის მისიის განხორციელებას და განვითარების უზრუნველყოფას არსებული რესურსებისა და გარემო პირობების გათვალისწინებით .

სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია SWOT ანალიზი, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია განვითარების ძირითადი მიმართულებები, მათ შორის: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური

ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერა და ორგანიზაციული განვითარება. თითოეული მიმართულება გაშლილია შესაბამის სტრატეგიულ მიზნებად და ამოცანებად, რაც მიუთითებს, რომ გეგმა აგებულია მიზანი–ამოცანა–განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობით .

დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ სტრატეგიული გეგმის განხორციელება ეფუძნება შიდა და გარე გარემოს ანალიზს და შესაძლებელია მისი პერიოდული გადახედვა შეფასების შედეგების საფუძველზე, რაც მიუთითებს დაგეგმვის ციკლურ ხასიათზე და შეესაბამება სტრატეგიული დაგეგმვის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნას .

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დგინდება, რომ სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, აგებულია მიზნებისა და ამოცანების სისტემაზე და ითვალისწინებს განვითარების ციკლურ პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების უწყვეტ გაგრძელებას და სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

წარმოდგენილი 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა შინაარსობრივად და სტრუქტურულად ეფუძნება სკოლის 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმას. დოკუმენტში პირდაპირ არის მითითებული, რომ იგი გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, ხედვიდან და სტრატეგიული მიზნებიდან, რაც უზრუნველყოფს დასახული პრიორიტეტების თანმიმდევრულ რეალიზებას მოკლევადიან პერიოდში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი ეყრდნობა სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ გეგმაში ასახული აქტივობები პასუხობს სკოლის წინაშე არსებულ აქტუალურ გამოწვევებს, რომლებიც იდენტიფიცირებულია თვითშეფასების ინსტრუმენტებისა და SWOT ანალიზის გამოყენებით. სამუშაო ჯგუფის (შექმნილი დირექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის №2-195 ბრძანებით) მიერ მომზადებულ დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები, კონკრეტული აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები.

ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამოქმედო გეგმა მოიცავს გაზომვად ინდიკატორებსა და შესაბამის მტკიცებულებებს, რაც საშუალებას იძლევა წლის ბოლოს ობიექტურად შეფასდეს მიღწეული პროგრესი. გეგმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) ჩართულობა და დოკუმენტის განხილვა პედაგოგიურ საბჭოზე (2026 წლის 12 იანვარი) და შემდგომი დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ (2026 წლის 13 იანვარი) ადასტურებს პროცესის გამჭვირვალობასა და დემოკრატიულობას.

ამრიგად, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არის რეალისტური, შედეგზე ორიენტირებული და სრულად გამომდინარეობს სტრატეგიული დაგეგმვისა და თვითშეფასების შედეგებიდან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სტრუქტურულად და შინაარსობრივად გამართულია და სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

გეგმაში თითოეული სტრატეგიული მიზნისთვის მკაფიოდ არის დეკლარირებული შესაბამისი ამოცანები და მათი მიღწევის გზები — კონკრეტული აქტივობები. დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ მასში გაწერილია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი მტკიცებულებები (მაგალითად: ოქმები, ანგარიშები, ფოტომასალა, სერტიფიკატები), რაც მონიტორინგის პროცესს ობიექტურს ხდის.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმაში თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია რეალისტური ვადები (თვეების მიხედვით), რაც უზრუნველყოფს სასწავლო წლის განმავლობაში სამუშაო პროცესის თანაბარ გადანაწილებას. დოკუმენტში მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები (მაგალითად: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრის თავმჯდომარეები, ისტ მენეჯერი და სხვა), რაც აძლიერებს შიდა ანგარიშვალდებულების მექანიზმებს.

ამასთან, გეგმაში მითითებულია შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც სკოლის არსებული ბიუჯეტისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით სრულიად რეალისტურია. დოკუმენტების ურთიერთკავშირი (ბიუჯეტი, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა) ადასტურებს, რომ დაგეგმილი აქტივობები მატერიალურად მდგრადია და ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგებზე. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლის სამოქმედო გეგმა არის ეფექტიანი მართვის ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

- სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრისოქმი;
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ერთწლიან განვითარების გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 11 დეკემბრის №2-194 ბრძანებით) მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების დეტალურ მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების შესრულების ხარისხის კონტროლს.

მეთოდოლოგიაში (მუხლი 10, 11) გაწერილია მონიტორინგის განხორციელების კონკრეტული პროცედურები. კერძოდ, დოკუმენტი განსაზღვრავს ანგარიშგების პერიოდულობას: შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში მზადდება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ (შუალედური შეფასება), ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში — ყოველწლიურად.

მნიშვნელოვანია, რომ მეთოდოლოგია არ შემოიფარგლება მხოლოდ ვადების განსაზღვრით; მას ერთვის სპეციალური ფორმა (დანართი №1), რომელიც წარმოადგენს მონიტორინგის მთავარ ინსტრუმენტს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს აქტივობების შეფასებას წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, სადაც თითოეულ აქტივობას ენიჭება შესაბამისი სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“.

დოკუმენტაციით ასევე განსაზღვრულია მონიტორინგის შედეგების განხილვისა და გაზიარების წესი. მონიტორინგის ანგარიში წარედგინება სკოლის მართვის ორგანოებს (პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს), რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. მეთოდოლოგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მონიტორინგის შედეგები გამოიყენება გეგმებში კორექტივებისა და ცვლილებების შესატანად, რაც ადასტურებს, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასებაზე დაფუძნებული განვითარების ციკლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მეთოდოლოგიური ჩარჩო სრულად უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლას ჩამოყალიბებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ქმედითი სისტემა.

ვინაიდან სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში, პრაქტიკული განხორციელების ციკლი ჯერ არ დასრულებულა, თუმცა წარმოდგენილი „ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 11 დეკემბრის №2-194 ბრძანებით) იძლევა სრულ გარანტიას, რომ პროცესი წარიმართება სტანდარტის მოთხოვნათა დაცვით. მეთოდოლოგიის თანახმად, მონიტორინგი და შეფასება არის ინკლუზიური პროცესი, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმებს.

დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ ინფორმაციის შეგროვება მოხდება სხვადასხვა არხებით, მათ შორის მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვების გზით, რაც უზრუნველყოფს ობიექტურ შეფასებას დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინებით. მეთოდოლოგია ავალდებულებს სკოლას, რომ შეფასების შედეგები სისტემატურად აისახოს მონიტორინგის ანგარიშებში. აღნიშნული ანგარიშები, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით, წარედგინება სამეურვეო საბჭოს და განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მიერ შემუშავებული მონიტორინგის ინსტრუმენტები ორიენტირებულია არა მხოლოდ ფორმალურ შესრულებაზე, არამედ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შემდგომ განვითარებასა და საჭიროების შემთხვევაში გეგმების კორექტირებაზე. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია ხარისხის განვითარების ციკლი (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვა და მეთოდოლოგიური ჩარჩო სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტთან. <u>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**</u>

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბებულია კონკრეტული მექანიზმები.

ვინაიდან სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში და ამ ეტაპზე ჯერ არ გააჩნია განხორციელებული გეგმების დასრულებული ანგარიშები, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა საჯაროობის უზრუნველყოფის ის სამართლებრივი და პროცედურული ჩარჩო, რომელიც გაწერილია სკოლის მეთოდოლოგიაში.

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (მუხლი 12) პირდაპირ ავალდებულებს ადმინისტრაციას, გახადოს ანგარიშგების პროცესი ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას განსაზღვრული აქვს კომუნიკაციის მრავალფეროვანი არხები: სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები და საინფორმაციო დაფები.

მნიშვნელოვანია, რომ მეთოდოლოგიურ დონეზე სკოლა გეგმავს არა მხოლოდ დოკუმენტების განთავსებას, არამედ ღია ანგარიშგების შეხვედრების გამართვას მშობლებთან, მოსწავლეებთან და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და მათ პოტენციურ ჩართულობას შეფასების პროცესში.

ამასთან, მეთოდოლოგია ითვალისწინებს გეგმების განხორციელების შედეგების პრეზენტაციას სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, რაც ქმნის მმართველობითი პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მყარ წინაპირობას. სკოლის ორიენტაცია ღიაობაზე და მზაობა საჯაროობის მექანიზმების ამოქმედებისთვის სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შემდგომი განვითარებისთვის გამოყენების მექანიზმები მეთოდოლოგიურ დონეზე სრულყოფილად არის განსაზღვრული.

ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაგეგმილი პროცესების შესაბამისობა ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი განვითარების ციკლთან (PDCA). მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლაში დანერგილია მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების სისტემატურ გამოყენებას ახალი სამიზნეების დასახვასა და არსებული პრაქტიკის დახვეწაში.

დოკუმენტური ანალიზით დასტურდება, რომ სასწავლო წლის ბოლოს, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, კათედრების თავმჯდომარეებისა და დირექციის ანგარიშების საფუძველზე, მოხდება სკოლის მუშაობის შედეგების სიღრმისეული ანალიზი. სკოლა გეგმავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საფუძველზე წარმატებული პრაქტიკისა და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას. აღნიშნული ანალიზი გამოყენებული იქნება მომავალი საქმიანობების დასაგეგმად, რაც უზრუნველყოფს თავსებადობას სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ან, საჭიროების შემთხვევაში, მასში ადეკვატური ცვლილებების შეტანას ახალი რეალობის გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლა ამ მიმართულებით გეგმავს მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს მკვლევარ მასწავლებელთა კოორდინაციით, რაც ხარისხის მართვის პროცესს უფრო მტკიცებულებებზე დაფუძნებულს ხდის. აღნიშნული მექანიზმების არსებობა ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია მდგრად განვითარებასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვა და დაგეგმილი მექანიზმები სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

რეალისტური იქნებადასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა;
- სკოლის ვებ.გვერდისა და სოციალური გვერდის მისამართები:
- SWOT ანალიზი;

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
o *შ**ესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.***

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა, სადაც თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდ არის რეგლამენტირებული.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-04 ბრძანებით დამტკიცებული „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება“ და სკოლის სტრუქტურული სქემა ადასტურებს, რომ დაწესებულებაში არსებობს მართვისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა რგოლი. კერძოდ: სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭო მოქმედებენ კანონმდებლობისა და შიდა დებულებების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სკოლის სტრატეგიული განვითარების, ბიუჯეტის მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის გამჭვირვალობას. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის ფუნქციები დეტალურად არის გაწერილი, რაც მოიცავს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, პერსონალის მართვასა და რესურსების ოპტიმალურ განკარგვას. საგნობრივი კათედრებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლის სტრუქტურაში, რაც ხელს უწყობს მეთოდური მუშაობის კოორდინაციასა და მოსწავლეთა ჩართულობას. სკოლაში მოქმედებს დეტალური სამუშაო აღწერილობები ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის (ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ისტ მენეჯერი, ექთანი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და სხვა). თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრულია როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები (განათლება, სამუშაო გამოცდილება), ისე კონკრეტული პასუხისმგებლობები.

სკოლის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია და პრაქტიკაში რეალიზებულია სპეციალური მასწავლებლების, პერსონალური ასისტენტებისა და ენისა და მეტყველების სპეციალისტის ფუნქციები, რაც ხაზს უსვამს სკოლის მზაობას ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სრულად ასახავს მათ ფუნქცია-მოვალეობებს, რაც ქმნის სამართლებრივ საფუძველს ანგარიშვალდებულებისა და სამუშაოს შესრულების ეფექტიანი შეფასებისთვის. ფუნქციების ასეთი მკაფიო დიფერენცირება გამორიცხავს უფლებამოსილებათა დუბლირებას და ხელს უწყობს სკოლის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები განსაზღვრულია სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად. <u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება პირდაპირ არის ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.

სკოლის ორგანიზაციული მოწყობა ეფუძნება ლოგიკურ სუბორდინაციასა და კოორდინაციას, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის ოპერატიულობას. ფუნქციების დიფერენცირება ასახავს სასწავლო-აღზრდითი პროცესის კომპლექსურობას და ფარავს ყველა საკვანძო სფეროს: სწავლა-სწავლებას, კურიკულუმის განვითარებას, მოსწავლეთა მხარდაჭერასა და პერსონალის პროფესიულ ზრდას. ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირების არსებობა (მაგალითად, კავშირი დირექციას, კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოს შორის) ხელს უწყობს ინფორმაციის შეუფერხებელ გაცვლასა და გუნდურ მუშაობას.

ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია რეგულარული შეხვედრების სისტემა, რაც მმართველობითი რგოლებისა და შემსრულებლების კოორდინირებული მუშაობის გარანტიაა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობითი მიდგომების გამოყენება (საბჭოების, სამუშაო ჯგუფების ჩართულობა) უზრუნველყოფს პროცესის დემოკრატიულობასა და გამჭვირვალობას. მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია (დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტაციით) სრულ თანხვედრაშია მათთვის განსაზღვრულ ფუნქციებთან, რაც საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის სტაბილურობას განაპირობებს.

სკოლა მზად არის პერიოდულად შეაფასოს ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობა და მოახდინოს მისი კორექტირება სტრატეგიული მიზნებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლის მართვის მოდელი არის მოქნილი და ხელს უწყობს დაწესებულების მდგრად განვითარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების მექანიზმები სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- საშტატო განრიგი;
- ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები სისტემურად არის მოწესრიგებული და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

სკოლაში ადამიანური რესურსების მართვა ეფუძნება გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც გამყარებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტებით. კერძოდ, სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-04 ბრძანებით დამტკიცებულია „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება“, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს კრიტერიუმებს თითოეული პოზიციისთვის — დირექტორის მოადგილედან დაწყებული, დამხმარე პერსონალის ჩათვლით. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს პერსონალის შერჩევის პროცესის ვალიდურობასა და კანონშესაბამისობას.

პერსონალის მართვის პროცესების სამართლებრივ გამართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და შინაგანაწესი, რომლებიც სრულ თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან. დოკუმენტაციით მკაფიოდ არის რეგლამენტირებული პერსონალის დაქირავების, სამსახურში მიღების, შრომითი ურთიერთობების ფორმირებისა და სამუშაო პირობების ძირითადი ასპექტები.

ვიზიტისას შესწავლილი იქნა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა იცავს დადგენილ პირობებს. პერსონალის მართვის პროცესში გამოყენებული ადმინისტრაციული აქტები, მათ შორის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის №2-195 ბრძანება, მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათ ფუნქციურ განაწილებას კვალიფიკაციის შესაბამისად.

ამრიგად, სკოლაში არსებული ადამიანური რესურსების მართვის ჩარჩო უზრუნველყოფს სტაბილურ და სამართლებრივად დაცულ სამუშაო გარემოს, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას. **<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია თანამშრომელთა საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათ პროფესიულ მხარდაჭერაზე.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-04 ბრძანებით დამტკიცებული „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება“ და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ ქმნის მყარ საფუძველს პერსონალის ეფექტიანი მართვისთვის.

აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ პროცედურებს, არამედ პრევენციულ და ინტერვენციულ მიდგომებს, რაც მიზნად ისახავს შესაძლო პრობლემების დროულ აღმოფხვრასა და პერსონალის განვითარების ხელშეწყობას.

ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება მონაცემთა რეგულარულ შეგროვებასა და ანალიზს. სკოლაში დანერგილია თვითშეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმები, რაც საშუალებას იძლევა დროულად იქნას იდენტიფიცირებული როგორც ინდივიდუალური (მაგალითად, კონკრეტული მასწავლებლის პროფესიული საჭიროებები), ისე სისტემური გამოწვევები. პრევენციული ღონისძიებები მოიცავს სამუშაო პროცესის მხარდაჭერასა და კონსულტაციებს, ხოლო ინტერვენციული მექანიზმები ორიენტირებულია გამოკვეთილი ხარვეზების აღმოფხვრასა და საჭირო რესურსებით უზრუნველყოფაზე.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს „უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს“ (PDCA), რაც პერსონალის მართვის კონტექსტში ნიშნავს შეფასების შედეგების პირდაპირ ასახვას მომავალი განვითარების გეგმებში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს სტაბილურობას და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მუდმივ ამაღლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. <u>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**</u>

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში პერსონალის შერჩევის პროცესი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საკონკურსო მასალების ანალიზით დასტურდება, რომ მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩო განსაზღვრავს საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის პირობებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის კანონიერებასა და ერთიან სტანდარტთან შესაბამისობას.

დადგენილია, რომ ვაკანტური პოზიციების შემთხვევაში სკოლის დირექტორი განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ქმნის საკონკურსო კომისიას და ამტკიცებს კონკურსის ჩატარების წესსა და ვადებს. კომისიის შემადგენლობა მოიცავს როგორც სკოლის შიდა წარმომადგენლებს, ასევე მოწვეულ სპეციალისტებს (მათ შორის სამინისტროსა და პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს), რაც ზრდის პროცესის ობიექტურობასა და პროფესიულ სანდოობას.

კანდიდატთა შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. კომისია ახორციელებს დოკუმენტაციის გადარჩევას, ატარებს გასაუბრებას და გადაწყვეტილებას იღებს შეფასების ერთიანი მიდგომის საფუძველზე. გასაუბრების შედეგები ეცნობება აპლიკანტებს, რაც მიუთითებს პროცესის გამჭვირვალობაზე და უკუკავშირის უზრუნველყოფაზე.

სკოლა ყველა ვაკანსიას აცხადებს teachers.jobs.ge პლატფორმაზე, სადაც განთავსებულია როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე შერჩევის ეტაპები. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს საჯაროობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის.

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის შერჩევის პროცესიც რეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი აქტით (მინისტრის №16/ნ ბრძანება). ამ შემთხვევაში კომისიაში მოწვეული წევრის სახით მონაწილეობს მულტიდისციპლინური ჯგუფის წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს პროფესიული შესაბამისობისა და სპეციალიზებული კომპეტენციის შეფასებას.

დოკუმენტაციის ანალიზით დადასტურდა, რომ შერჩეულ კანდიდატებთან სკოლა აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს კანონმდებლობით დადგენილი წესით და აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს. აღნიშნული პროცესი სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

მტკიცებულებების (ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ, კომისიის ოქმები, შედეგების დადგენა, ხელშეკრულებები, ვაკანსიის საჯარო გამოცხადება) საფუძველზე დგინდება, რომ პერსონალის შერჩევის პროცესი არ არის ფორმალური, არამედ სისტემურად ორგანიზებული და სამართლებრივად გამართული.

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ორიენტირებულია კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე, რაც ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების სრული დაცვით.

სკოლაში მოქმედი „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება“ (დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-04 ბრძანებით) წარმოადგენს პერსონალის შერჩევის ძირითად ორიენტირს. დოკუმენტში თითოეული პოზიციისთვის (დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ისტ მენეჯერი, სპეციალური მასწავლებელი, ექთანი და სხვა) გაწერილია მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმები, რაც მოიცავს როგორც განათლების ცენზს, ისე სამუშაო გამოცდილებასა და სპეციფიკურ კომპეტენციებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სკოლა იცავს უსაფრთხო გარემოს შექმნის სტანდარტებს: დაწესებულებაში სისტემურად ინახება 2020 წლის შემდეგ მიღებული ყველა მასწავლებლის ნასამართლეობის, ასევე თანამშრომლების სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.

ვიზიტისას პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა, რომ დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ პოზიციებსა და სკოლის დირექტორის №2-04 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. პერსონალის შერჩევისას უზრუნველყოფილია თანასწორობა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამორიცხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

დოკუმენტაციის ანალიზის, წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, პერსონალის პირადი საქმეებისა და საკვალიფიკაციო დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის შიდა რეგულაციებით (დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-04 ბრძანება) დადგენილ მოთხოვნებს.

მასწავლებელთა შერჩევა და დასაქმება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. პერსონალის პირად საქმეებში დაცულია განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტი. მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი უმაღლესი განათლება, პროფესიული კომპეტენცია და სტატუსი, რაც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის გარანტიაა.

<u>ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სკოლას ამ ეტაპზე ვაკანტური აქვს ექიმის პოზიცია.</u> სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ვაკანსია გამოცხადდა რამდენჯერმე, თუმცა კვალიფიციური კადრის არარსებობის გამო, სკოლამ ოფიციალურად მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექთნის საშტატო ერთეულის მოთხოვნით. მოთხოვნა დაკმაყოფილდა .სკოლას ვიზიტის პერიოდში დასაქმებული ჰყავდა ექთანი.

რეკომენდაცია: ვინაიდან სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს ექიმის დასაქმების ვადები (12/23/2025-12/23/2027), **მიზანშეწონილია სკოლამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება**, რათა სრულად დაკმაყოფილდეს სამედიცინო მომსახურების სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები. **ინდიკატორი <u>ნაწილობრივ</u> შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ორიენტირებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დამკვიდრებაზე.

სკოლის ღირებულებები — გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა და თანამშრომლობა — ასახულია სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის ყველა ეტაპზე. ამის ნათელი დასტურია სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 დეკემბრის №2-195 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს. აღნიშნული ფორმატი უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას და დემოკრატიულ მიდგომას.

ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად ზრუნავს გუნდური სულისკვეთების ამაღლებასა და ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებაზე. ეს გამოიხატება როგორც პროფესიულ თანამშრომლობაში (კათედრული მუშაობა, გამოცდილების გაზიარება), ისე არაფორმალურ აქტივობებში. სკოლა ახორციელებს თიმბილდინგის ელემენტების მქონე ღონისძიებებს, აღნიშნავს პროფესიულ დღეებს და გეგმავს ერთობლივ სოციალურ აქტივობებს, რაც ხელს უწყობს თანამშრომლებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და მოტივაციის ზრდას.

მონაწილეობითი მართვის პრინციპი ასევე ვლინდება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების საქმიანობაში, სადაც ხდება სტრატეგიული დოკუმენტების საჯარო განხილვა და კონსენსუსის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პერსონალის მიერ სკოლის მიზნების გაზიარებას და მათ პასუხისმგებლობას საერთო შედეგებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია პერსონალის აღიარებისა და წარმატებული გამოცდილების გაზიარების ქმედითი სისტემა.

სკოლის შინაგანაწესით (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №4 ოქმით) მკაფიოდ არის განსაზღვრული თანამშრომელთა წახალისების ფორმები. კერძოდ, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, განსაკუთრებული სირთულის სამუშაოსა თუ კეთილსინდისიერი სამსახურისთვის გათვალისწინებულია შემდეგი მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქარი და ერთჯერადი ფულადი პრემია. აღნიშნული რეგულაციები ქმნის მოტივირებულ სამუშაო გარემოს და ხელს უწყობს პერსონალის ლოიალობას.

აღიარების პროცესი სკოლაში საჯარო ხასიათისაა. დაწესებულება აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებსა და სხვა საკომუნიკაციო არხებს სკოლის მიღწევებისა და წარმატებული პედაგოგების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, რაც ამაღლებს პერსონალის ავტორიტეტს სასკოლო საზოგადოებაში.

გამოცდილების გაზიარების კუთხით, სკოლაში დამკვიდრებულია სამუშაო შეხვედრებისა და კოლეგიალური მხარდაჭერის პრაქტიკა. კათედრების დებულებისა (დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-05 ბრძანებით) და სამოქმედო გეგმების მიხედვით, რეგულარულად ტარდება ღია გაკვეთილები, ურთიერთდასწრებები და თემატური პრეზენტაციები. ეს ფორმატები პედაგოგებს საშუალებას აძლევს, მოახდინონ ინოვაციური მიდგომების დემონსტრირება და ხელი შეუწყონ სწავლების ხარისხის ერთიან ამაღლებას.

ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მდგრადი მექანიზმები, რაც შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- კონკურსიდს ჩატარების წესი;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ადამიანური რესურსების განვითარების გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვასა და განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობები;
- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები სისტემურ ხასიათს ატარებს.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-06 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვისა და მონიტორინგის მკაფიო პროცედურებს. სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების მრავალფეროვანი სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც წლიურ შეფასებებს, ისე მიმდინარე მონიტორინგს.

პედაგოგიური პერსონალის შეფასების პროცესში აქტიურად გამოიყენება გაკვეთილზე დაკვირვებისა და შემდგომი უკუკავშირის სესიები. კათედრის დებულებისა (ბრძანება №2-05) და სამოქმედო გეგმების შესაბამისად, ურთიერთდასწრებები და კოლეგიალური შეფასება წარმოადგენს პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების ერთ-ერთ მთავარ წყაროს. ამასთან, სკოლა პერიოდულად იყენებს თვითშეფასების კითხვარებს, რაც პერსონალს საკუთარი საქმიანობის რეფლექსიასა და ინდივიდუალური განვითარების გზების დასახვაში ეხმარება.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასების პროცესი არის კომპლექსური და ითვალისწინებს არაპირდაპირი მხარეების — მოსწავლეებისა და მშობლების — უკუკავშირსაც. გამოკითხვებისა და შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაცია საშუალებას აძლევს სკოლის მართვის რგოლებს, გამოავლინონ პერსონალის ძლიერი მხარეები და განსაზღვრონ ის სფეროები, რომლებიც საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას ან ტრენინგებს.

ზემოაღნიშნული მექანიზმების არსებობა ადასტურებს, რომ სკოლაში შექმნილია პერსონალის პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული გარემო, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის მუდმივ ამაღლებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესი ეფუძნება სისტემურ მიდგომას და სრულად შეესაბამება გამოვლენილ საჭიროებებს.

სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა“ (ბრძანება №2-06) და პროფესიული განვითარების გეგმის ანალიზი ადასტურებს, რომ ადმინისტრაცია აქტიურად უზრუნველყოფს განვითარების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას. დოკუმენტურად დასტურდება, რომ პერსონალს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგებისა და სემინარების შესახებ. მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობა აღნიშნულ კურსებში დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებითა და ანგარიშგებებით, რაც მიუთითებს, რომ პროფესიული განვითარება სკოლაში რეალურად ხორციელდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლაში დანერგილი შიდა მხარდაჭერის მექანიზმები. კათედრის დებულებისა (ბრძანება №2-05) და სამუშაო შეხვედრების ოქმების მიხედვით, ფუნქციონირებს ურთიერთდასწრების პრაქტიკა და სასწავლო აქტივობა „კრიტიკული მეგობარი“. კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი რეფლექსია ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და პროფესიული კომპეტენციის მუდმივ ზრდას.

პროფესიული მხარდაჭერის პროცესი მოიცავს სკოლის მთელ პერსონალს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ისევე როგორც ადმინისტრაციული, სამედიცინო და დამხმარე პერსონალი, უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი ინფორმაციითა და ტრენინგებზე დასწრების შესაძლებლობით. ეს მიდგომა ხაზს უსვამს, რომ პროფესიული განვითარება სკოლის მართვის სისტემის ინტეგრირებული ნაწილია.

შეფასების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული გარემო, სადაც მართვისა და მხარდაჭერის მექანიზმები კოორდინირებულად მუშაობს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს მართვად და სისტემურ პროცესს.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-06 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და შიდა რეგულაციები ქმნის მყარ საფუძველს პერსონალის კარიერული წინსვლისთვის. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს თანამშრომელთა მუდმივ ინფორმირებას საკანონმდებლო ცვლილებების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგ-კურსების, კონფერენციებისა და საპილოტე პროგრამების შესახებ. აღნიშნული პრაქტიკა გარანტიას იძლევა, რომ პროფესიული შესაძლებლობები თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა დასაქმებულისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის მიდგომა ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მიმართ. დამწყები კადრების პროფესიული ადაპტაცია ხორციელდება ორგანიზებულად: მათი წარდგენა პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრებზე (ბრძანება №2-05), სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა და მენტორული თუ კოლეგიალური მხარდაჭერის მექანიზმები (მაგალითად, „კრიტიკული მეგობარი“) ამარტივებს სამუშაო გარემოში დამკვიდრების პროცესს.

სკოლა აქტიურად ახალისებს პედაგოგთა შიდა სასკოლო ინიციატივებს — კვლევებს, საგნობრივ ოლიმპიადებსა და პროექტებს, რაც დასტურდება კათედრების სამოქმედო გეგმებითა და შეხვედრების ოქმებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ პროფესიული განვითარება სკოლაში არ შემოიფარგლება მხოლოდ გარე რესურსებით, არამედ ეფუძნება შიდა ინოვაციურ პრაქტიკასა და გამოცდილების გაზიარებას.

შეფასების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი გარემო, სადაც პროფესიული ზრდა ინტეგრირებულია მართვის სისტემაში, რაც უზრუნველყოფს პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ახალი თანამშრომლების ინტეგრაციისა და სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის პროცესი სისტემურად არის მოწესრიგებული.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-06 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია დეტალურად განსაზღვრავს ახალი კადრების მიღებისა და მათი სამუშაო გარემოში ჩართვის პროცედურებს. ინტერვიუების ფარგლებში როგორც დირექციამ, ისე მასწავლებლებმა პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით დაადასტურეს, რომ სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციისთვის იყენებს კომპლექსურ მიდგომას.

ინტეგრაციის პროცესი მოიცავს შემდეგ საკვანძო აქტივობებს:

- ახალი თანამშრომლისთვის სკოლის ორგანიზაციული კულტურის, ინფრასტრუქტურის და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის (მათ შორის, 2025 წლის 12 სექტემბრის №4 ოქმით დამტკიცებული შინაგანაწესის) გაცნობა;
- პირადი ფუნქცია-მოვალეობების დეტალური განმარტება და ინფორმირება მიმდინარე სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ;
- ახალი კადრის წარდგენა პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრებზე, რაც ხელს უწყობს კოლეგიალური ურთიერთობების სწრაფ ჩამოყალიბებას;
- თანამშრომლის ჩართვა სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებში ინფორმაციის ოპერატიული გაცვლის უზრუნველსაყოფად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სკოლაში მოქმედი კათედრების დებულება (ბრძანება №2-05) ითვალისწინებს გამოცდილების გაზიარების ფორმატებს, რაც ახალ თანამშრომლებს პროფესიულ ადაპტაციაში ეხმარება. აღნიშნული სტრუქტურირებული მიდგომა უზრუნველყოფს ახალი პერსონალის სწრაფ და ეფექტურ ჩართვას სკოლის საერთო მიზნების მიღწევის პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა სრულად უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია და მხარდაჭერილია როგორც ორგანიზაციულ, ისე მატერიალურ-ტექნიკურ დონეზე.

სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №4 ოქმით) და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (ბრძანება №2-06) ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს თანამშრომელთა ინიციატივების აღიარებისათვის. წახალისების მექანიზმები მოიცავს როგორც არამატერიალურ ფორმებს (მადლობის გამოცხადება, სიგელი), ისე მატერიალურ სტიმულებს (ფასიანი საჩუქარი, ერთჯერადი პრემია), რაც მიუთითებს პერსონალის მართვის სისტემურ მიდგომაზე.

ვიზიტისას დათვალიერებულმა ინფრასტრუქტურამ დაადასტურა, რომ სკოლა ფლობს თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობას (პროექტორები, ლეპტოპები, ისტ-ლაბორატორია), რაც რეალურად გამოიყენება პედაგოგთა მიერ ტრენინგებისა და სასკოლო პროექტების განსახორციელებლად. ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა პრაქტიკული მაგალითები, როდესაც ადმინისტრაციამ უზრუნველყო თანამშრომელთა პროფესიული ტრენინგების ფინანსური მხარდაჭერა სკოლის ბიუჯეტიდან, რაც ადასტურებს მზაობას რესურსების მიზნობრივი განკარგვისთვის.

სკოლა აქტიურად უწყობს ხელს გამოცდილების გაზიარების ინიციატივებს. კათედრების დებულებისა (ბრძანება №2-05) და სამოქმედო გეგმების მიხედვით, პერსონალი ჩართულია ურთიერთდასწრებისა და შიდა პროფესიული დისკუსიების პროცესში. ადმინისტრაცია სისტემატურად აწვდის თანამშრომლებს ინფორმაციას საგრანტო შესაძლებლობებისა და კონკურსების შესახებ, რაც სტიმულს აძლევს ინოვაციური პრაქტიკის დანერგვას.

შეფასების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში ინიციატივების მხარდაჭერა არ ატარებს მხოლოდ დეკლარირებულ ხასიათს და რეალურად აისახება საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების განვითარების გეგმა
- ადამიანური რესურსების მართვასა და განვითარებასთან დაკავშირებული მასალები/აქტივობები;
- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
- კათედრის დებულება
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება სისტემურად, ხარისხის უზრუნველყოფის მკაფიო პოლიტიკისა და პროცესული მიდგომის საფუძველზე.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-09 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ წარმოადგენს მართვის ძირითად დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებს. დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში ხარისხის მართვა ეფუძნება „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ (PDCA) ციკლს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესების მუდმივ მონიტორინგს, შეფასებასა და მიღებული შედეგების გამოყენებას შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

სკოლის მართვის სისტემა ეყრდნობა ურთიერთდაკავშირებულ რეგულაციებს: შინაგანაწესს (დამტკიცებული 2025 წლის 12 სექტემბრის №4 ოქმით), ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას (ბრძანება №2-06) და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას. ეს სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს ორგანიზაციული პროცესების სტრუქტურულ თანმიმდევრულობას. ხარისხის მართვის ფარგლებში მკაფიოდ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები, ანგარიშგების ფორმები და მონიტორინგის ინსტრუმენტები.

ვიზიტისას წარმოდგენილი ბრძანებები და სხდომების ოქმები ადასტურებს, რომ სკოლის საქმიანობა ეფუძნება გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და ვალიდურობის პრინციპებს. გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიალურ ფორმატში (პედაგოგიური და სამეურვეო

საბჭოები), რაც მიუთითებს მართვის დემოკრატიულ და დოკუმენტირებულ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (მუხლი 10, 11) ასევე ითვალისწინებს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს, რაც ხაზს უსვამს სკოლის ორიენტაციას პრაქტიკულ შედეგებზე. ამრიგად, სკოლაში დანერგილი მართვის სისტემა უზრუნველყოფს ფუნქციების მკაფიო განაწილებას და საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის სისტემურ კონტროლს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში იდენტიფიცირებულია და მკაფიოდ არის აღწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-09 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და მასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები (შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა) ქმნის პროცესების მართვის ერთიან ჩარჩოს. დოკუმენტურად დადასტურებულია შემდეგი პროცესების დიფერენცირება:

- **მმართველობითი პროცესები:** მოიცავს სტრატეგიულ და წლიურ დაგეგმვას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და მონიტორინგის სისტემას. მეთოდოლოგიით განსაზღვრული „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლი უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ეფექტიან კონტროლსა და განვითარებას.
- **ძირითადი პროცესები:** ფოკუსირებულია უშუალოდ საგანმანათლებლო საქმიანობაზე, რაც გულისხმობს სასკოლო კურიკულუმების შემუშავებას, სწავლა-სწავლების ხარისხის მართვასა და სასწავლო პროცესის ორგანიზებას კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს აქტიური ჩართულობით.
- **დამხმარე პროცესები:** იდენტიფიცირებულია და რეგლამენტირებულია ისეთი მნიშვნელოვანი სფეროები, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვა (ბრძანება №2-06), ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა (შინაგანაწესი), საბიბლიოთეკო და მოსწავლის სერვისების განხორციელება, საქმისწარმოება და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

დირექციასთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მართვის გუნდს სრულად აქვს გააზრებული თითოეული პროცესის როლი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ასეთი სისტემური გადანაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ და ხარისხიან წარმართვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის პროცესების იდენტიფიცირებისა და აღწერის ხარისხი სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის გამჭვირვალე სისტემა, რომელიც იცავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის კანონიერ უფლებებს.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-08 ბრძანებით დამტკიცებული „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი" წარმოადგენს მთავარ მარეგულირებელ დოკუმენტს, რომლის მოქმედებაც ვრცელდება თანამშრომლებზე, მოსწავლეებსა და მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე. აღნიშნული წესი დეტალურად აღწერს საჩივრის წარდგენის ფორმას, განხილვის ვადებსა და პროცედურულ თანმიმდევრობას, რაც პროცესს სტრუქტურირებულსა და პროგნოზირებადს ხდის.

დოკუმენტური ანალიზით დასტურდება, რომ სკოლაში გასაჩივრების მექანიზმები მოიცავს რამდენიმე საკვანძო მიმართულებას:

- **კანონიერი უფლებების დაცვა:** დირექტორის №2-07 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ" ქმნის სამართლებრივ გარანტიებს და ითვალისწინებს მიმართვის კონკრეტულ ფორმებს (დანართები №3, №4) როგორც დირექტორის, ისე სამეურვეო საბჭოს სახელზე.
- **დამოუკიდებელი განხილვა:** საჩივრების განხილვისას მეთოდოლოგია ითვალისწინებს კომისიის ფორმირებას ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, რაც უზრუნველყოფს პროცესის მიუკერძოებლობას.
- **სპეციფიკური შემთხვევები:** წესი არეგულირებს დისციპლინური სახდელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას, ასევე მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგებთან დაკავშირებულ საპრეტენზიო პროცედურებს.

ვიზიტისას დირექციამ აღნიშნა, რომ მიუხედავად გამართული სისტემისა, გასაჩივრების მექანიზმების გამოყენების პრაქტიკული საჭიროება ჯერ არ დამდგარა, ვინაიდან სკოლაში საჩივარი არ დაფიქსირებულა. მიუხედავად ამისა, ინფორმაცია გასაჩივრების უფლებისა და პროცედურების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე, რაც ადასტურებს დაწესებულების მზაობასა და ღიაობას.

ამრიგად, სკოლაში არსებული საჩივრების განხილვის სისტემა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს და ეფუძნება სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია მყარი სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმებით.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-07 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ“ წარმოადგენს ძირითად ჩარჩოს, რომელიც სკოლის შინაგანაწესთან (დამტკიცებული 2025 წლის 12 სექტემბრის №4 ოქმით) ერთად არეგულირებს სასკოლო საზოგადოების წევრთა უფლებრივ მდგომარეობას. შინაგანაწესი დეტალურად ფარავს პერსონალის შრომითი უფლებების სრულ სპექტრს, მათ შორის სამუშაო დროს, ანაზღაურებას, შვებულებისა და შრომის დაცვის პირობებს.

უფლებების დაცვის პრაქტიკული რეალიზება ხორციელდება შემდეგი ინსტრუმენტებით:

- გასაჩივრების სისტემა: სკოლის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში მითითებულია გასაჩივრების წესი, ადგილი და ვადები. №2-08 ბრძანებით დამტკიცებული „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ უზრუნველყოფს საჩივრების მიუკერძოებელ და გამჭვირვალე განხილვას.
- მონაწილეობითი მართვა: პერსონალისა და მშობლების უფლება, მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში, რეალიზებულია კოლეგიალური ორგანოების — პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების მეშვეობით. მოსწავლეთა ინტერესების დაცვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ხმის გათვალისწინებას უზრუნველყოფს მოსწავლეთა თვითმმართველობა.
- სახელშეკრულებო გარანტიები: შრომით ხელშეკრულებებსა და მშობლებთან გაფორმებულ შეთანხმებებში მკაფიოდ არის დიფერენცირებული მხარეთა უფლება-მოვალეობები, რაც სამართლებრივად პროგნოზირებადს ხდის ურთიერთობებს.
- დისციპლინური წარმოება: სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საქმიანობას წარმართავს ობიექტურობისა და კანონიერების პრინციპების დაცვით, რაც გამორიცხავს თვითნებურ გადაწყვეტილებებს.

ვიზიტისას წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და სამართლებრივად დაცული გარემო, სადაც თითოეული მხარის ინტერესები დაცულია როგორც დეკლარირებულ, ისე პროცედურულ დონეზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები;
- გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის პროცედურები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში მოქმედებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მრავალფეროვანი არხები, <u>თუმცა უკუკავშირის სისტემური დამუშავების ნაწილში იკვეთება განვითარების საჭიროება.</u>

სკოლა აქტიურად ზრუნავს მშობლებისა და მოსწავლეების ინფორმირებულობაზე ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. სასკოლო საზოგადოების წევრებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის (დამტკიცებული 2025 წლის 12 სექტემბრის №4 ოქმით), მოსწავლეთა ქცევის კოდექსის, შეფასების სისტემისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება სამართლებრივად აწესრიგებს ურთიერთობის ჩარჩოს და განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

კომუნიკაციის პროცესში სკოლა ეფექტურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ რესურსებს: ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელებს, Teams-ის პლატფორმასა და დახურულ საკომუნიკაციო ჯგუფებს. გარდა ციფრული არხებისა, ინფორმაციის გაცვლა რეგულარულად ხდება მშობელთა კრებებისა და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში.

ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ მიუხედავად აქტიური კომუნიკაციისა, სკოლაში დოკუმენტურად არ არის დაფიქსირებული სისტემური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა მშობლებთან და თანამშრომლებთან მიღებული უკუკავშირის პროცესუალურ აღრიცხვასა და მასზე რეაგირების ანალიზს. მართვის პროცესების კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით, სკოლამ <u>**მიიღო შემდეგი რჩევა:**</u> მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშავოს და დანერგოს უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების ფორმალური სისტემა (მაგალითად, უკუკავშირის ჟურნალი ან ელექტრონული რეესტრი), რაც ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს სისტემურად გააანალიზოს სასკოლო საზოგადოების საჭიროებები, ინიციატივები და ეფექტურად ასახოს ისინი მართვის პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში უზრუნველყოფილია სისტემურ დონეზე.

სკოლაში ფუნქციონირებს მართვის ისეთი კოლეგიური ორგანოები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესს ხდის გამჭვირვალესა და თანამონაწილეობითს. კერძოდ:

- პედაგოგიური საბჭო: მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში. საბჭო ასევე მონაწილეობს სასკოლო კურიკულუმის ფორმირებასა და სასწავლო პროცესის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.
- საგნობრივი კათედრები: დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-05 ბრძანებით დამტკიცებული კათედრის დებულების შესაბამისად, მასწავლებელთა გაერთიანებები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მეთოდოლოგიურ კოორდინაციასა და გამოცდილების გაზიარებას.
- მოსწავლეთა თვითმმართველობა: სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც აძლიერებს დემოკრატიულ კულტურას და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, იყვნენ სასკოლო ცხოვრების აქტიური მონაწილენი.
- სამუშაო ჯგუფები: სტრატეგიული დოკუმენტების მოსამზადებლად სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფები (მაგალითად, დირექტორის №2-195 ბრძანებით შექმნილი ჯგუფი), სადაც ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან ერთად ჩართულნი არიან მშობლები და მოსწავლეები. ეს პრაქტიკა ხაზს უსვამს სკოლის თანამშრომლობითი მართვის კულტურას.
- დისციპლინური კომიტეტი: კოლეგიურობის პრინციპი დაცულია დისციპლინური საკითხების განხილვისასაც, რაც უზრუნველყოფს სამართლიან და ობიექტურ მიდგომას.

ამრიგად, სკოლაში არსებული კოლეგიური მართვის მოდელი სრულად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა რეალურ მონაწილეობას დაწესებულების ცხოვრებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- კონკურსის მასალები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები ძირითადად ჩამოყალიბებულია, თუმცა სტანდარტთან სრული შესაბამისობისთვის საჭიროებს დამატებით ადმინისტრაციულ და ტექნიკურ სრულყოფას.

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება შინაგანაწესით (დამტკიცებული 2025 წლის 12 სექტემბრის №4 ოქმით) და შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში წესრიგს ზედამხედველობენ მანდატურები და განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი. მოსწავლეთა გაცდენების აღრიცხვა და მშობლებთან ოპერატიული კომუნიკაცია ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით მიუთითებს პრევენციული კონტროლის ფუნქციონირებაზე.

ფიზიკური უსაფრთხოების კომპონენტების შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- **საგანგებო სიტუაციების მართვა:**
  საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 20 იანვრის წერილით დადასტურებულია, რომ სკოლაში შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და იგი შეთანხმებულია შესაბამის სამსახურთან, რაც უზრუნველყოფს საგანგებო მდგომარეობების შემთხვევაში მოქმედების განსაზღვრულ წესს.
- **ტექნიკური აღჭურვილობა:**
  სკოლის შენობა აღჭურვილია უსაფრთხოების ძირითადი სისტემებით. ვიზიტის პერიოდში ვიდეოთვალთვალის სისტემა არ იყო დამონტაჟებული, თუმცა უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება სახელმწიფო მანდატურის სამსახურის მიერ.
- **სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობა:**
  2026 წლის 12 თებერვლის №55 სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტის მიხედვით, სკოლის შენობა სრულად არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. პერსონალთან არ ჩატარებულა სისტემატური ინსტრუქტაჟი; არ არის სრულად შემუშავებული ხანძრის დროს მოქმედების ინსტრუქციები; არ არის დანიშნული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; გაუმართავია სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა; არასრულად არის მოწყობილი ავარიული განათება და ევაკუაციის მანიშნებელი ნიშნები; გაუმართავია შიდა სახანძრო წყალმომარაგების სისტემა; ჰიდრანტების გამტარუნარიანობა არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას აქვს სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, რომელიც უარყოფითია, შესაბამისად მიზანშეწონილია გაგრძელდეს აქტიური კომუნიკაცია და მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხოების ნორმების სრული შესრულება.

- **შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოება:**
  2025 წლის 8 დეკემბრის წერილით სკოლამ მიმართა შესაბამის უწყებას სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის ექსპერტიზის ჩატარების მიზნით. სკოლა ვიზიტის პერიოდში ექსპერტიზის მოლოდინის რეჟიმში იმყოფებოდა . შენობის მდგრადობის საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები, რაც ასახულია სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში. გამოსასწორებლად სკოლას გაწერილი აქვს აქტივობები 2026 წლის 23 დეკემბრამდე.
- **შრომის უსაფრთხოება:**
  სამუშაო გარემოში რისკების სისტემური მართვის უზრუნველსაყოფად **მიზანშეწონილია** სკოლამ დაასაქმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან გააფორმოს ხელშეკრულება შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამუშაო სივრცეში რისკების მუდმივი იდენტიფიცირება, შეფასება და მონიტორინგი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლას შექმნილი აქვს უსაფრთხოების მართვის საბაზისო სისტემა და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა გამოვლენილი ხარვეზების ეტაპობრივი აღმოსაფხვრელად. არსებული მდგომარეობა მიუთითებს, რომ სკოლა ახორციელებს ღონისძიებებს სტანდარტთან სრული შესაბამისობის მისაღწევად. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინფრასტრუქტურის დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები მეტწილად შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტებთან. სკოლაში გამოყოფილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი მედიკამენტითა და ინვენტარით. ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, სამედიცინო წერტილი სრულად პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს და მზად არის ფუნქციონირებისთვის.

ადამიანური რესურსის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ სკოლამ აქტიურად იმუშავა კადრის მოსაძიებლად. ვინაიდან რეგიონში შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის დეფიციტია და გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში კანდიდატი ვერ შეირჩა , სკოლამ მიიღო თანხმობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან ექთნის დროებით დასაქმებაზე.

2026 წლის 10 თებერვლის №3-09 ბრძანებით, სკოლაში 6 თვის გამოსაცდელი ვადით დასაქმდა ექთანი. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ და ეფუძნება სამინისტროს რეკომენდაციას. მიუხედავად ექთნის დასაქმებისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ - №01-23/ნ ერთობლივი ბრძანების (დანართი №1.2) შესაბამისად, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით (500-ზე მეტი მოსწავლე), სკოლა ვალდებულია სამედიცინო პერსონალის შტატში ჰყავდეს ექიმი. სკოლის მიერ **წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით,** დაწესებულება იღებს ვალდებულებას, რომ 2026 წლის 23 დეკემბრამდე გააგრძელოს ექიმის კადრის მოძიების პროცესი და განმეორებითი კონკურსების გზით უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება.

ვინაიდან სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია და სერვისის უწყვეტობა ამ ეტაპზე გარანტირებულია დასაქმებული ექთნის მიერ, ხოლო სკოლას გაწერილი აქვს ექიმის მოძიების ეტაპობრივი გეგმა, **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებას. სკოლის შინაგანაწესით (დამტკიცებული 2025 წლის 12 სექტემბრის №4 ოქმით) მკაფიოდ არის განსაზღვრული ქცევის წესები მოსწავლეების, პერსონალისა და მშობლებისათვის. წესრიგის დაცვის პროცესში ჩართულნი არიან სკოლის მანდატური, ორი დარაჯი და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი მოიცავს შემდეგ პრაქტიკულ ასპექტებს:

მონიტორინგი და მორიგეობა: სკოლაში მოქმედებს პედაგოგთა მორიგეობის წინასწარ განსაზღვრული გრაფიკი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დერეფნებისა და სასკოლო სივრცის მუდმივ კონტროლს.
დაშვების რეჟიმი: სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა მკაცრად რეგულირდება. სტუმრების აღრიცხვა ხდება სპეციალურ ჟურნალში, ხოლო მათი გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ რეგისტრაციისა და პასუხისმგებელი პირის თანხლებით.
საინფორმაციო კამპანიები: სკოლა პერიოდულად ატარებს საგანმანათლებლო შეხვედრებს ბულინგის, კიბერბულინგის, დისკრიმინაციისა და ძალადობის წინააღმდეგ. დამრიგებლები კლასის საათების ფარგლებში მოსწავლეებს აცნობენ მათ უფლებებსა და სკოლაში ქცევის წესებს.
ცხელი ხაზი: შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (112) საკონტაქტო ნომრები.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური პერსონალი კოორდინირებულად მუშაობენ უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად. მართვისა და ზედამხედველობის არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს შესაძლო რისკების პრევენციასა და საზოგადოებრივი წესრიგის სტაბილურ დაცვას. ამრიგად, სკოლაში დანერგილი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის სისტემა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის კეთილდღეობასა და მხარდაჭერაზე.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-07 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ“ და შინაგანაწესი ქმნის მყარ საფუძველს არადისკრიმინაციული და ინკლუზიური გარემოსთვის. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო და დანერგილია კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მექანიზმები.

ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ახორციელებს შემდეგ აქტივობებს: სადამრიგებლო პროგრამებსა და სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია ბულინგის, კიბერბულინგისა და ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო კამპანიები. რეგულარულად ტარდება შეხვედრები პოზიტიური სასკოლო კლიმატის პოპულარიზაციისთვის.

ინკლუზიური განათლების ფარგლებში დასაქმებულნი არიან სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტები და ფსიქოლოგები. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა რეფერირებას მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში.

კლასის ხელმძღვანელები სისტემურად აკვირდებიან მოსწავლეთა ემოციურ მდგომარეობასა და ურთიერთობებს. შემუშავებულია შიდა ინსტრუქციები ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების მართვის შესახებ, სადაც დეტალურადაა გაწერილი თანამშრომელთა ვალდებულებები და კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპები.
სკოლა ოპერატიულად ახდენს რეაგირებას მოსწავლის გაკვეთილზე არ გამოცხადების ან ქცევითი ცვლილების შემთხვევებზე, რაც უზრუნველყოფს მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობასა და ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომას.

ვიზიტისას წარმოდგენილი ანგარიშები და სამოქმედო გეგმები ადასტურებს, რომ სკოლაში ემოციური უსაფრთხოება არ არის მხოლოდ დეკლარირებული პრინციპი და იგი რეალიზებულია ყოველდღიურ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში არსებული ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების მექანიზმები სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინფრასტრუქტურის დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა უზრუნველყოფილია სისტემურ დონეზე, მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად.

სკოლაში დასაქმებულია 6 დამლაგებელი, რომელთა უფლება-მოვალეობები და სამუშაო პირობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებებითა და შინაგანაწესით (დამტკიცებული 2025 წლის 12 სექტემბრის №4 ოქმით). პერსონალი ყოველდღიურად ახორციელებს სასკოლო სივრცისა და გარე პერიმეტრის დასუფთავებას წინასწარ გაწერილი, ინფრასტრუქტურაზე მორგებული გრაფიკის მიხედვით, რომელიც მოიცავს ყოველდღიურ, ყოველთვიურ და ყოველწლიურ პროცედურებს.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სასწავლო და საერთო სივრცეები: საკლასო ოთახები, დერეფნები და კიბეები რეგულარულად მუშავდება სველი წესით და ნიავდება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხშირად შეხებადი ზედაპირების (სახელურები, მოაჯირები) დეზინფექციას.
სანიტარული კვანძები: სველი წერტილები მოწესრიგებულია, სუფთაა და სრულად აღჭურვილია საჭირო ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, ქაღალდი და ა.შ.). სანიტარიული კვანძებისათვის განკუთვნილი ინვენტარი მარკირებულია და ინახება დამხმარე პერსონალისთვის გამოყოფილ სივრცეში.
რესურსების მართვა: საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ, ჩაკეტილ სათავსოში, რაც გამორიცხავს მოსწავლეთა მათთან არასანქცირებულ წვდომას.
გარე პერიმეტრი: დამლაგებლები მუდმივად ზრუნავენ სკოლის ეზოს სისუფთავეზე, ნარჩენებისა და ბალახებისგან მის დროულ გათავისუფლებაზე.

სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ჰიგიენური საშუალებების უწყვეტ მომარაგებასა და დასუფთავების ხარისხის პერიოდულ კონტროლს. მართვისა და უსაფრთხოების დოკუმენტაციაში გაწერილი სტანდარტული პროცედურები იძლევა გარანტიას, რომ სკოლაში შენარჩუნებულია ჯანსაღი და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-11 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტი სრულ თანხვედრაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან და დეტალურად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, მიზნებსა და უსაფრთხოების ზომებს როგორც ელექტრონულ (საგანმანათლებლო მართვის საინფორმაციო სისტემა), ისე მატერიალურ მატარებლებთან მიმართებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით სკოლაში მოქმედებს შემდეგი მექანიზმები:

წვდომის კონტროლი: მონაცემებზე წვდომა მკაცრად არის რეგლამენტირებული და ხელმისაწვდომია მხოლოდ ავტორიზებული პირებისთვის. განსაზღვრულია კონკრეტული პოზიციები (მაგ., საქმისმწარმოებელი, ისტ მენეჯერი), რომლებსაც აქვთ წვდომა სპეციფიკურ ინფორმაციაზე.
მონაცემთა დამუშავების ოფიცერი: ვინაიდან სკოლა ამუშავებს დიდი მოცულობის პერსონალურ მონაცემებს, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია პროცესის კანონშესაბამისობაზე, თანამშრომელთა ინფორმირებასა და რეგულარულ მონიტორინგზე.
მონიტორინგი: პასუხისმგებელი პირი პერიოდულად ამოწმებს ელექტრონულ ჟურნალებს და სხვა ბაზებს, რათა გამოირიცხოს მონაცემთა არაკანონიერი მოპოვება, შეცვლა ან გამჟღავნება.
ვიდეოთვალთვალი: სკოლის შიდა რეგულაციებით მკაფიოდ არის განსაზღვრული ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესები და მასზე წვდომის მქონე პირთა წრე, რაც იცავს სასკოლო საზოგადოების წევრთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

ვიზიტისას გადამოწმებული ხელშეკრულებები და თანხმობის ფორმები ადასტურებს, რომ სკოლა პრაქტიკულ დონეზეც იცავს პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხო დამუშავების სტანდარტებს. აღსანიშნავია სკოლის მზაობა, გაითვალისწინოს ექსპერტული რეკომენდაციები და მუდმივად სრულყოს მონაცემთა დაცვის შიდა სისტემები. ამრიგად, სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პროცესი არის მართვადი, გამჭვირვალე და შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ინფორმაციის დაცვის მექანიზმები ჩამოყალიბებულია სისტემურ დონეზე და უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხო დამუშავებას.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-11 ბრძანებით დამტკიცებული **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“** წარმოადგენს ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს. აღნიშნული წესი სავალდებულოა შესასრულებლად სკოლაში დასაქმებული და სკოლის სახელით მოქმედი ყველა პირისათვის. ინფორმაციის დაცვის მექანიზმები მოიცავს შემდეგ საკვანძო ასპექტებს: სკოლაში მკაცრადაა განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომელთაც აქვთ წვდომა კონფიდენციალურ ინფორმაციაზე. კერძოდ, საქმეთამმართველს აქვს ავტორიზებული წვდომა მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე, ასევე ელექტრონულ ბაზაზე (Eschool.emis.ge), რაც გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირების მიერ მონაცემთა მოპოვებას. რეგლამენტირებულია როგორც მატერიალურ მატარებლებზე (პირადი საქმეები, ჟურნალები), ისე ელექტრონულ პლატფორმებზე არსებული ინფორმაციის დამუშავების მიზნები და პრინციპები. განსაზღვრულია მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ზედამხედველობას უწევს მონაცემთა დაცვის წესების შესრულებას, მათ შორის ელექტრონულ ჟურნალებში ინფორმაციის შეტანის სისწორესა და უსაფრთხოებას.პერსონალი იცნობს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რაც დადასტურდა ინტერვიუების პროცესში.

წარმოების ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლაში ინფორმაციის დაცვის მექანიზმები ფუნქციონირებს არა მხოლოდ დოკუმენტურად, არამედ პრაქტიკაშიც. მატერიალური დოკუმენტაცია ინახება დაცულ სივრცეში, ხოლო ელექტრონულ მონაცემებზე წვდომა ხორციელდება პერსონალური ავტორიზაციის საფუძველზე, რაც სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების შეფასება და გაუმჯობესება წარმოადგენს მუდმივ და ციკლურ პროცესს.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცებული „ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (ბრძანება №2-09) ქმნის უსაფრთხოების სისტემების პერიოდული მონიტორინგის სამართლებრივ საფუძველს. სკოლა პროცესების მართვისას ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს (PDCA), რაც გულისხმობს უსაფრთხოების ზომების დაგეგმვას, განხორციელებას, მათ შემოწმებასა და შემდგომ განვითარებას. უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასება ხორციელდება შემდეგი ინსტრუმენტებით:

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც რეგულარულად იკრიბება (მაგალითად, 2025 წლის 29 დეკემბრის №2 ოქმი) უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევების განსახილველად. საბჭოს სხდომებზე ხდება კონკრეტული შემთხვევების (მაგ. გაკვეთილებზე დაგვიანების პრევენცია, მოსწავლეთა ქცევა) ანალიზი და შესაბამისი სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვა.

მანდატურები ყოველდღიურად ახორციელებენ დისციპლინური გადაცდომებისა და უსაფრთხოების დარღვევების აღრიცხვას. აღნიშნული მონაცემები პერიოდულად მუშავდება ადმინისტრაციის მიერ პრევენციული ზომების დასახვის მიზნით. სკოლის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი და უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირი ახორციელებენ შენობა-ნაგებობისა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმებას, რის საფუძველზეც მზადდება რეკომენდაციები მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებისას გათვალისწინებულია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირი, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას.

ვიზიტისას წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ ხარვეზების იდენტიფიცირებით; შეფასების შედეგები პირდაპირ აისახება გაუმჯობესების გეგმებში. მაგალითად, მრჩეველთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მორიგეობის გრაფიკის კორექტირების ან საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვის შესახებ მიუთითებს უსაფრთხოების მართვის სისტემის დინამიურ ხასიათზე. ამრიგად, სკოლაში არსებული უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებისა და გაუმჯობესების პრაქტიკა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოების პოლიტიკა;;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- მოქმედი საშტატო განრიგი.

შეფასება:

1. *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
2. *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
<u>■ მეტწილად შეესაბამება</u>
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინფრასტრუქტურის დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლა ფლობს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას ავტორიზაციის ვადით.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (საკადასტრო კოდი: 68.10.45.386) მიხედვით, სკოლა განთავსებულია ქალაქ ქარელში, 26 მაისის ქუჩა N1-ში. მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი შეადგენს 5671.00 კვ.მ-ს, ხოლო მასზე განთავსებული ძირითადი შენობის (N01) საერთო ფართია 5368.00 კვ.მ. აღნიშნული ფართობი სრულად შეესაბამება მოსწავლეთა არსებულ კონტინგენტს (535 მოსწავლე) და იძლევა შესაძლებლობას, დაწესებულებამ მიიღოს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა (800 მოსწავლე) დადგენილი ნორმატივების ფარგლებში.

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს:

- სასწავლო სივრცეები: საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო სასწავლო ინვენტარით (მერხები, სკამები, დაფები). საჭიროებისამებრ, ოთახებში დამონტაჟებულია პროექტორები და კომპიუტერული ტექნიკა;
- სპეციალიზებული კაბინეტები: სკოლას აქვს ფუნქციური კომპიუტერული კლასი (ისტ-ლაბორატორია), საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით;
- სპორტული ინფრასტრუქტურა: დაწესებულება ფლობს როგორც დახურულ სპორტულ დარბაზს, ისე ღია სპორტულ მოედანს, რაც მოსწავლეებს აძლევს ფიზიკური აქტივობისა და სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარების საშუალებას;
- დამხმარე სივრცეები: სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი და სააქტო დარბაზი ღონისძიებებისთვის.

ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მოვლა-პატრონობა ხორციელდება სისტემურად, სკოლის ბიუჯეტის ფარგლებში. შენობა და მიმდებარე ტერიტორია შემოღობილია და დაცულია, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს. მატერიალური რესურსების განახლება ხდება საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, რაც ხელს უწყობს სასწავლო გარემოს მუდმივ გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, რაც რეგლამენტირებულია შესაბამისი შიდა დებულებებით.

სკოლის ინფრასტრუქტურის გამოყენება ეფუძნება თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია შემდეგი მექანიზმებით:

- სკოლის დირექტორის 2026 წლის შესაბამისი ბრძანებით (№2-13) დამტკიცებული „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“ განსაზღვრავს წიგნადი ფონდითა და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის პროცედურებს. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. წესი ითვალისწინებს როგორც ადგილზე მუშაობის, ისე ლიტერატურის გატანის შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს თვითგანვითარებასა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერას.
- დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-12 ბრძანებით დამტკიცებული „ლაბორატორიით სარგებლობის წესი“ არეგულირებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების გამოყენებას. კათედრის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით შედგენილი გრაფიკი უზრუნველყოფს სივრცეების ოპტიმალურ დატვირთვას როგორც საგაკვეთილო, ისე კლასგარეშე აქტივობების დროს.
- სპორტული დარბაზი, ღია მოედანი და სააქტო დარბაზი ხელმისაწვდომია წინასწარ განსაზღვრული განრიგის მიხედვით. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგაც ჩაერთონ სხვადასხვა სპორტულ თუ კულტურულ აქტივობებში, რაც ხელს უწყობს მათი ინტერესების რეალიზებას.
- პერსონალისთვის და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები და სხვა მატერიალური რესურსები, რაც აუცილებელია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების მისაღწევად.

ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მაქსიმალურ ათვისებას და უზრუნველყოფს წესრიგსა და უსაფრთხოებას საერთო სარგებლობის სივრცეებში. რესურსების მართვა ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. <u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება ხორციელდება სისტემურად, წინასწარ დადგენილი წესებისა და საგანმანათლებლო სტანდარტების სრული დაცვით.

სკოლის დირექტორის 2026 წლის შესაბამისი ბრძანებით (№2-13) დამტკიცებული „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება)“ წარმოადგენს ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც შეესაბამება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს. ბიბლიოთეკა წარმოადგენს ფუნქციურ სივრცეს, რომელიც აღჭურვილია სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, მათ შორის სახელმძღვანელოებით, მხატვრული და მეთოდური ლიტერატურით.

საბიბლიოთეკო სერვისების შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: ბიბლიოთეკაში დაცული ერთეულები დამუშავებულია დადგენილი წესით — თითოეულ წიგნს ენიჭება საინვენტარო ნომერი, ინდექსი და ესმება სკოლის ბეჭედი. ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს წიგნების მოძრაობის აღრიცხვიანობას და აწარმოებს ელექტრონულ კატალოგს, რაც ამარტივებს რესურსების მოძიებასა და მართვას.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები თვალსაჩინოდ არის გამოკრული, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობას მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. დებულება ითვალისწინებს როგორც სამკითხველო დარბაზში მუშაობის, ისე ლიტერატურის ბინაზე გატანის შესაძლებლობას.

ბიბლიოთეკარის სამუშაო გეგმითა და ანგარიშებით დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად ზრუნავს კითხვის პოპულარიზაციაზე. ხორციელდება თემატური ღონისძიებები და პროექტები მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობით, რაც ხელს უწყობს წიგნიერების დონის ამაღლებას.
დებულება განსაზღვრავს მკაფიო ვალდებულებებს მკითხველებისთვის (სიჩუმის დაცვა, წიგნის გაფრთხილება, დროული დაბრუნება), რაც უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდის მდგრადობასა და დაცულობას.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკა არ არის მხოლოდ წიგნსაცავი და იგი რეალურად ასრულებს საგანმანათლებლო-რესურსცენტრის ფუნქციას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო კურიკულუმის ეფექტურ იმპლემენტაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინფრასტრუქტურის დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლის გარემო ადაპტირებულია და სრულად უზრუნველყოფს ინკლუზიური სწავლების პრინციპების რეალიზებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა დაგეგმილია უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით, რაც გამოიხატება შემდეგ გარემოებებში: სკოლის შენობა აღჭურვილია ლიფტით, რაც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შეუფერხებელ გადაადგილებას ყველა სართულზე. შენობის შესასვლელები და შიდა სივრცეები მოწყობილია ისე, რომ ფიზიკური ბარიერები მინიმუმამდეა დაყვანილი.

სკოლაში, ყველა სართულზე ფუნქციონირებს სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სანიტარული წერტილები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი დამხმარე სახელურებითა და ინვენტარით, რაც უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებელ და უსაფრთხო სარგებლობას.

სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დამხმარე ტექნოლოგიები და ადაპტირებული სასწავლო მასალები. სკოლა ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებაზე, რისთვისაც მატერიალური რესურსი მუდმივად ახლდება.

ინკლუზიური გარემოს ეფექტიანობას განაპირობებს არა მხოლოდ ფიზიკური ინფრასტრუქტურა, არამედ კვალიფიციური ადამიანური რესურსი. სკოლაში მოქმედი მულტიდისციპლინური გუნდი (სპეციალური მასწავლებლები, ფსიქოლოგები, ასისტენტები) უზრუნველყოფს გარემოს მუდმივ მორგებას მოსწავლეთა დინამიურ საჭიროებებთან.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგიურ პერსონალს გაცნობიერებული აქვთ ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა. ინფრასტრუქტურული მოწყობა ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა სოციალიზაციას და მათ სრულფასოვან ჩართვას სასკოლო საზოგადოების ცხოვრებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ეფექტურად გამოიყენება დაწესებულების სოციო-კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებისათვის, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემის ინტეგრაციას.

სკოლის მატერიალური რესურსი და სივრცეები ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიურ მიღწევებზე, არამედ მოსწავლეთა შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებაზე. აღნიშნული მიმართულებით სკოლაში არსებობს შემდეგი მექანიზმები:

სკოლის სააქტო დარბაზი წარმოადგენს ძირითად პლატფორმას კონცერტების, სპექტაკლების, კონფერენციებისა და საჯარო შეხვედრებისთვის. შენობის ფართო დერეფნები და ბიბლიოთეკა (რომლის მუშაობის წესი დამტკიცებულია №2-13 ბრძანებით) აქტიურად გამოიყენება გამოფენების, ინტელექტუალური ვიქტორინებისა და პრეზენტაციების მოსაწყობად.

სკოლის გარემოში თვალსაჩინო ადგილებზე მუდმივად არის განთავსებული მოსწავლეთა ნამუშევრები და პროექტების შედეგები. ეს პრაქტიკა ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას და სკოლას აქცევს ცოცხალ შემოქმედებით სივრცედ.

სკოლის ინფრასტრუქტურა (სპორტული დარბაზი, მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია) ხელმისაწვდომია ადგილობრივი თემის წევრებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად. სკოლა პოზიციონირებს, როგორც თემის შეკრებისა და სოციალური ინტერაქციის ადგილი, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოსა და სამუშაო ჯგუფებში მშობლებისა და თემის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით.

სკოლის ეზო და სპორტული ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას, სასწავლო პროცესის მიღმა განხორციელდეს მრავალფეროვანი კლასგარეშე აქტივობები, რაც აძლიერებს სკოლის, როგორც სოციალური ინსტიტუტის როლს.

ვიზიტისას წარმოდგენილი აქტივობების ანგარიშები და ფაქტობრივი გარემო (გამოფენილი ნამუშევრები, მოწყობილი კუთხეები) ადასტურებს, რომ სკოლა მიზანმიმართულად იყენებს თავის რესურსებს პოზიტიური, მრავალფეროვანი და ღია სასკოლო კლიმატის შესაქმნელად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია
- მიღება-ჩაბარების აქტები
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის შიდა აზომვითი ნახაზი
- ბიბლიოთეკის დოკუმენტაცია

შეფასება:

0. *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

● *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინფრასტრუქტურის დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა გამართულია და სრულფასოვნად უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციულ, ისე სასწავლო პროცესებს.

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვა და გამოყენება რეგლამენტირებულია დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-12 ბრძანებით დამტკიცებული „ლაბორატორიის გამოყენების წესით (დებულება)". აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიით სარგებლობის წესებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურ ინტეგრირებას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

სკოლის ადმინისტრაციული სივრცეები სრულად არის აღჭურვილი საჭირო კომპიუტერული ტექნიკითა და მრავალფუნქციური საოფისე მოწყობილობებით. ეს უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის, ფინანსური მართვისა და მოსწავლეთა/პერსონალის მონაცემთა ბაზების (Eschool) შეუფერხებელ წარმოებას.
 სკოლას აქვს თანამედროვე კომპიუტერული კლასი (ისტ-ლაბორატორია), სადაც კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება მოსწავლეთა ჯგუფების სიდიდეს, რაც თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობას აძლევს. სასწავლო ოთახებში პერიოდულად გამოიყენება პროექტორები და სხვა ციფრული რესურსები პრეზენტაციებისა და ინტერაქტიული გაკვეთილებისთვის. სკოლაში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, რაც საშუალებას იძლევა ოპერატიულად აღირიცხოს მოსწავლეთა დასწრება, აკადემიური მოსწრება და ქცევა. სისტემა უზრუნველყოფს მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობას და გამჭვირვალე უკუკავშირს მშობლებთან.
 ლაბორატორიით სარგებლობის წესის შესაბამისად, ტექნიკურ რესურსებზე წვდომა არის მართვადი. ისტ მენეჯერი და პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ პროგრამული უზრუნველყოფის განახლებასა და ტექნიკის გამართულობას.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები სკოლაში არ გამოიყენება მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტად; ისინი წარმოადგენენ მართვისა და სწავლების განუყოფელ ნაწილს, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის და მისი გამოყენება ეფუძნება სამართლიანობისა და ორგანიზებულობის პრინციპებს.

ციფრული რესურსების ხელმისაწვდომობა რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-12 ბრძანებით დამტკიცებული „ლაბორატორიის გამოყენების წესით (დებულება)“. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს ტექნიკური ბაზის ოპტიმალურ და თანაბარ გადანაწილებას მოსწავლეებსა და პერსონალს შორის.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი ასპექტები:

კომპიუტერული ლაბორატორიით (ისტ-კლასი) სარგებლობა ხდება წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულია საგნის მასწავლებლებთან და კათედრის ხელმძღვანელებთან. ქცევის წესები და ტექნიკით სარგებლობის ინსტრუქციები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინფორმირებულობას.
ბიბლიოთეკასა და საერთო სამუშაო სივრცეებში განთავსებული კომპიუტერები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც სახლში არ აქვთ წვდომა ინტერნეტსა და ტექნიკაზე. სკოლა იძლევა შესაძლებლობას, რესურსები გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ გაკვეთილების დროს, არამედ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგაც — პროექტული მუშაობის, ონლაინ ტრენინგებისა და თვითგანვითარებისთვის.
სკოლა აქტიურად იყენებს Microsoft Teams-ის, Office 365-ის პლატფორმებსა და ელექტრონულ ჟურნალს. ციფრული ინფრასტრუქტურა გამართულად ემსახურება როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ კომუნიკაციას (Messenger, ელფოსტა, სკოლის ოფიციალური გვერდი).
ისტ მენეჯერი უზრუნველყოფს ტექნიკის მუდმივ გამართულობასა და პროგრამულ განახლებას, რაც გარანტიას იძლევა, რომ საგანმანათლებლო პროცესი ტექნიკური შეფერხებების გარეშე წარიმართება.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა რეალურად უწყობს ხელს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ციფრულ ჩართულობას და ქმნის თანამედროვე, ტექნოლოგიურად განვითარებულ სასწავლო გარემოს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა;
- ინტერნეტით უზრუნველყოფის დოკუმენტი;
- სკოლის facebook გვერდის ბმული;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა;
- ინტერნეტით უზრუნველყოფის დოკუმენტი;
- ჩეტბოტისა და ვებგვერდის ლინკი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში საქმისწარმოების პროცესი ორგანიზებულია სისტემურად, მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სრული დაცვით.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-15 ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი საქმისწარმოების დებულება (წესი)“ წარმოადგენს ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტბრუნვის ორგანიზების სისტემას, მოქალაქეთა განცხადებებსა და წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოების წესი სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისათვის და უზრუნველყოფს ინფორმაციის კონფიდენციალურობასა და დაცულობას.

საქმისწარმოების პროცესის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სკოლაში დანერგილია დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და შენახვის ერთიანი პროცედურები. სპეციალურ ნომენკლატურაზე დაყრდნობით, ხორციელდება კორესპონდენციის (შემოსული/გასული), საკადრო და საერთო ბრძანებებისა თუ შრომითი ხელშეკრულებების სწორი კლასიფიკაცია. ბრძანებები სისტემატიზებულია და ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის დაცვით.

სკოლა ეფექტურად იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას (Eflow) და საგანმანათლებლო მართვის საინფორმაციო სისტემას (Eschool). საქმისწარმოების წესი ასევე ითვალისწინებს დისტანციური სწავლების დროს დოკუმენტების ელექტრონული ფოსტით (Kareli1@mes.gov.ge) მიღებისა და რეგისტრაციის წესს, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.
კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება როგორც დასაქმებულთა, ისე მოსწავლეთა პირადი საქმეები.
საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია სკოლის არქივის დაცვასა და დოკუმენტების დამოწმებული ასლების გაცემაზე.
საქმისწარმოების პროცესს კოორდინაციას უწევს საქმისმწარმოებელი, რომლის ფუნქციებიც მკაფიოდ არის განსაზღვრული. იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მობილობის (ჩარიცხვა-ამორიცხვა) ასახვას ბაზებში, საჯარო ინფორმაციის გაცემასა და ოფიციალური კორესპონდენციის მომზადებას.
სკოლაში წარმოებულია ბუღალტრული დოკუმენტაცია, მათ შორის პირველადი დოკუმენტები, რომლებიც აკინძულია და დამუშავებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ პასუხისმგებლობა სამსახურებრივი დოკუმენტების მოვლასა და მათში ასახული ინფორმაციის დაცვაზე. საქმისწარმოების გამართული სისტემა ხელს უწყობს სკოლის ადმინისტრაციული საქმიანობის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლის მართვაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სისტემურ ხასიათს ატარებს და სრულად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების ეფექტიანობას.

სკოლაში დანერგილია და აქტიურად ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვისა და კომუნიკაციის შემდეგი ელექტრონული სისტემები:

E-flow (ელექტრონული დოკუმენტბრუნვა: სკოლის საქმისწარმოების წესის (დამტკიცებული 2026 წლის 13 იანვრის №2-15 ბრძანებით) შესაბამისად, მთელი ოფიციალური კორესპონდენცია, ბრძანებები, განცხადებები და სამსახურებრივი ბარათები მუშავდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ეს უზრუნველყოფს დოკუმენტების სწრაფ რეგისტრაციას, გადაგზავნასა და არქივირებას.
Eschool.emis.ge: სკოლა სრულფასოვნად იყენებს საგანმანათლებლო მართვის საინფორმაციო სისტემას, სადაც ორგანიზებულია მოსწავლეთა და თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების ბაზები, ხორციელდება მობილობის პროცესები და აკადემიური მაჩვენებლების აღრიცხვა.
ელექტრონული ჟურნალი: სასწავლო პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, სკოლაში იწარმოება ელექტრონული ჟურნალი, რაც საშუალებას აძლევს ადმინისტრაციასა და მშობლებს, მუდმივ რეჟიმში ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეთა დასწრებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ.
Microsoft Teams და Office 365: პერსონალი აქტიურად იყენებს აღნიშნულ პლატფორმებს სამუშაო შეხვედრებისთვის, პროფესიული თანამშრომლობისა და სასწავლო რესურსების გაზიარებისთვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართვის კოლეგიალური ფორმატის მხარდასაჭერად.
კომუნიკაციის არხები: სკოლა ოპერატიული კომუნიკაციისთვის იყენებს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას (Kareli1@mes.gov.ge) და სოციალურ ქსელებს, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისა და გარე დაინტერესებული მხარეების დროულ ინფორმირებას.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool.emis.ge) აქვს სრულყოფილი და მუდმივად განახლებადი პროფილი.

სკოლა ეფექტურად იყენებს მართვის ელექტრონულ პლატფორმას ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების გამჭვირვალობისა და ოპერატიულობის უზრუნველსაყოფად. სისტემის შემოწმების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: eSchool-ის ბაზაში სკოლის პროფილის ყველა სავალდებულო ველი შევსებულია. სისტემაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლეთა და თანამშრომელთა შესახებ, მათ შორის მათი პერსონალური მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია და ცხრილები. ელექტრონულ ბაზაში სრულად არის ასახული მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვისა და ამორიცხვის პროცესები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპეციფიკური კატეგორიების აღრიცხვას: გააქტიურებულია სოციალურად დაუცველის ველი შესაბამისი სტატუსის მქონე მოსწავლეებისთვის, ხოლო სსსმ სტატუსი მითითებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების საფუძველზე. დასაქმებული პერსონალის შესახებ ინფორმაცია სისტემაში მოიცავს არა მხოლოდ საბაზისო მონაცემებს, არამედ მათ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციასაც. მონაცემთა განახლება ხდება სისტემატურად, ცვლილებების შესაბამისად.

სკოლის საქმისწარმოების წესისა (დამტკიცებული 2026 წლის 13 იანვრის №2-15 ბრძანებით) და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების (ბრძანება №2-11) შესაბამისად, ბაზებზე წვდომა მკაცრად არის რეგლამენტირებული. საქმისმწარმოებელი და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფენ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას.
ყველა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მონაცემები ასახულია სისტემაში, რაც მნიშვნელოვანია სკოლასა და ოჯახს შორის მჭიდრო კომუნიკაციისა და ელექტრონული ჟურნალის ფუნქციონირებისათვის.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ ელექტრონული ბაზების წარმოება სკოლაში არ ატარებს ფორმალურ ხასიათს და იგი წარმოადგენს ყოველდღიური მმართველობითი საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მონაცემთა სიზუსტესა და ანალიზის შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლასა და მარეგულირებელ ორგანოებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება სისტემურად, შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

სკოლა აქტიურად იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (E-flow), რაც უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ტერიტორიული რესურსცენტრისთვის მოთხოვნილი ინფორმაციისა თუ ანგარიშების ვადების დაცვით მიწოდებას.
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სკოლის წესდების შესაბამისად, დირექტორი ყოველწლიურად, 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს წარუდგენს დეტალურ ანგარიშს სასწავლო პროცესისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ. ასევე, სკოლა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს ყოველწლიურ ანგარიშგებას ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე.
მინისტრის №06/ნ ბრძანების საფუძველზე, სკოლის დირექტორი რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს მრჩეველთა საბჭოს (მაგალითად, 2025 წლის 29 დეკემბრის №2 ოქმი) უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით გატარებული ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შესრულების შესახებ.
სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა (ბრძანება №2-09) და შიდა მონიტორინგის მექანიზმების ფარგლებში, ხორციელდება სასწავლო პროცესისა და ინკლუზიური განათლების შეფასება. მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნები კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მიეწოდება შესაბამის უწყებებს.
საქმისწარმოების წესის (ბრძანება №2-15) შესაბამისად, საქმისმწარმოებელი კოორდინაციას უწევს ოფიციალური კორესპონდენციის მომზადებასა და გაგზავნას, რაც გამორიცხავს ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდების რისკს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის eSchool-ის სისტემა
- სკოლის E-flow-ს სისტემა
- სკოლის საქმისწარმოების წესი
- დოკუმენტბრუნვის სპეციალური ჟურნალები
- სხვადასხვა უწყებასთან სკოლის მიერ წარდგენილი ანგარიშები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად იყენებს მრავალფეროვან არხებსა და პლატფორმებს. მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ წვდომა **ელექტრონულ ჟურნალთან**, სადაც ხედავენ აკადემიურ პროგრესს და მასწავლებელთა კომენტარებს. **პედაგოგიურ საბჭოზე** პედაგოგებს რეგულარულად ეცნობებათ სასკოლო სიახლეები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ან გამოიკრება სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის გაწერილი წესის საფუძველზე სკოლა ახორციელებს მშობლებთან მუდმივ კომუნიკაციას. **კლასის დამრიგებლებს** შექმნილი აქვთ საკლასო მესენჯერ-ჯგუფები და Microsoft Teams-ის საკლასო სივრცეები, რაც მოსწავლეებთან და მშობლებთან ეფექტიან ურთიერთობას უზრუნველყოფს. ინფორმაციის გაცვლა ასევე მიმდინარეობს **მშობელთა კრებების** დროს. სასკოლო სიახლეები სისტემატურად ქვეყნდება სკოლის **სოციალურ ქსელში**, სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge/, სადაც სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ის ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. აღნიშნული ვებგვერდი განახლებადია ყოველდღიურად, მიზნობრივად და უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის ღია და ხელმისაწვდომ კომუნიკაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლის **ვებ-გვერდზე** და **ოფიციალურ სოციალურ გვერდზე** განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სანდოა და მისი უტყუარობა დასტურდება სხვადასხვა ღონისძიებების, პროექტებისა და შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით. სკოლა უზრუნველყოფს, რომ მის საქმიანობასთან, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდოს მხოლოდ სანდო და დამოწმებული წყაროებით. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც პასუხისმგებელია გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტესა და სრულყოფილებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლის განმარტებით, სოციალური ქსელისა და ვებგვერდის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს კომუნიკაციას დაინტერესებულ პირებთან. იმ საკითხებზე, რომლებიც საჭიროებს სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართვას, ადმინისტრატორი უზრუნველყოფს სოციალური ქსელიდან მიღებული ინფორმაციის დროულ გადაცემას დირექციისთვის. სკოლა უზრუნველყოფს, რომ შემოსული ინფორმაცია გათვალისწინებულ იქნეს შემდგომ საქმიანობაში, რაც ხელს უწყობს სასკოლო პროცესების გაუმჯობესებასა და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. ასევე, სკოლას აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, სადაც დეტალურად

არის განსაზღვრული: როგორ ხდება შემოსული ინფორმაციის დამუშავება; შესაბამისი რეაგირება; მიღებული ინფორმაციის გამოყენება სკოლის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ სპეციალურად სკოლებისთვის შექმნილ ვებგვერდს, სადაც განთავსებულია აუცილებელი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ვებგვერდი **განახლებადია ყოველდღიურად და მიზნობრივად**, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და საზოგადოებისთვის დროულად სანდო ინფორმაციის მიწოდებას. ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება ასევე: პირისპირ კომუნიკაციის გზით; წერილობითი კომუნიკაციით; სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ინფორმაციის გამოკვრით; სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელის (Facebook) გვერდის მეშვეობით; **Teams**-ის მიზნობრივი ჯგუფებში გამოქვეყნებით. ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია **ქართულ ენაზე**. სკოლის ვებგვერდი რეგისტრირებულია **საგანმანათლებლო დომენით**, რაც ხაზს უსვამს მის ოფიციალურ და საგანმანათლებლო დანიშნულებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ღირებულებები, ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია **საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის**. ინფორმაცია გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და სკოლის საზოგადოების ინფორმირებულობას. ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, მათ შორის: მისია, ხედვა და ღირებულებები; სტრუქტურა; პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და მათზე ჩარიცხვის პროცედურები; მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი); სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები; მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები; გასაჩივრების მექანიზმები; ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები; საკონტაქტო ინფორმაცია. მიდგომა ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამოქმედო გეგმა
- ელექტრონული ჟურნალები
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- მშობელთა მესენჯერ-ჯგუფები
- სკოლის საინფორმაციო დაფა
- სკოლის ვებ-გვერდი
- სკოლის FB გვერდი:

შეფასება:

0. გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0. შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ფინანსური რესურსების მართვა ხორციელდება გამჭვირვალედ, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მხარდაჭერაზე.

სკოლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით განსაზღვრული ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, ბიუჯეტი ივსება სპეციალური პროგრამული დაფინანსებით (სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერა, სამედიცინო პერსონალის სარგო, მასწავლებელთა დანამატები) და ეკონომიკური საქმიანობით (ფართის იჯარა) მიღებული შემოსავლებით. ფინანსური მართვის პროცესის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სკოლის ბიუჯეტი ეფუძნება რეალისტურ პროგნოზებსა და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტებს. ფინანსური საქმიანობის სამოქმედო გეგმა (საპროგნოზო ბიუჯეტი) განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. 2025 წლის ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო როგორც ნაშთი (22 090 ლარი), ისე მოსალოდნელი შემოსავლები, რამაც ჯამში 1 070 450 ლარი შეადგინა. ფინანსური რესურსი პრიორიტეტულად მიიმართება შრომის ანაზღაურებაზე, კომუნალურ გადასახადებზე, სანიტარულ-ჰიგიენურ და საკანცელარიო ხარჯებზე. სკოლა ასევე უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრების მიერ მოთხოვნილი სასწავლო რესურსების დაფინანსებას, რაც პირდაპირ აისახება სწავლების ხარისხზე.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დირექტორი ყოველწლიურად წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე. 2025 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ანგარიში ადასტურებს, რომ სკოლა ფინანსურ ოპერაციებსა და სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებს დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

სკოლა ეფექტურად იყენებს საკუთარ ინფრასტრუქტურას დამატებითი შემოსავლების მისაღებად (მაგ. კვების ბლოკის იჯარა), რაც მიიმართება სკოლის საჭიროებებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ფინანსური რესურსების მართვის სისტემა ჩამოყალიბებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მოიცავს დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის გამართულ მექანიზმებს.

ფინანსური რესურსების მართვის პროცესი ეფუძნება შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

სკოლის ბიუჯეტის პროექტი მზადდება წინა წლის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით. ბიუჯეტის პროექტს ამზადებს ბუღალტერი, ახორციელებს დირექტორი, ხოლო საბოლოო დოკუმენტს განიხილავს და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. ყოველი წლის ნოემბერში ასევე მტკიცდება მომავალი წლის შესყიდვების გეგმა.

სკოლა ფინანსურ რესურსებს (ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული თანხები, იჯარიდან მიღებული შემოსავალი) განკარგავს მიზნობრივად. შესყიდვების პროცესში სისტემატურად ტარდება ბაზრის კვლევა თითოეულ საქონელზე, რაც უზრუნველყოფს რესურსების ოპტიმალურ ხარჯვას. ხელშეკრულებები კანონმდებლობით დადგენილ ვადებში იტვირთება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე.

ფინანსური ხარჯების კონტროლი ხორციელდება ყოველთვიურად საბანკო ამონაწერების საფუძველზე, რაც გამორიცხავს არამიზნობრივ ხარჯვას. წლის ბოლოს იქმნება ინვენტარიზაციის კომისია, რომელიც ახდენს ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეფასებას.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დირექტორი ყოველწლიურად, 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს წარუდგენს დეტალურ ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. 2025 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ანგარიში ადასტურებს, რომ სკოლის შემოსავლები და ხარჯები (სრულად არის აღრიცხული და შესაბამისობაშია დამტკიცებულ ბიუჯეტთან.

სკოლა ეფექტურად მართავს ნაშთებსა და დამატებით შემოსავლებს (მაგ. ფართის იჯარიდან მიღებული), მიიმართება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სასწავლო რესურსების (მათ შორის STEM პროგრამის) მხარდასაჭერად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- შესყიდვების გეგმა
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური საქმიანობის ანგარიში;

შეფასება:

0. გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

0. შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

■ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების დაცვა უზრუნველყოფილია მყარი სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმებით.

სკოლის შიდა რეგულაციები სრულ თანხვედრაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და ბავშვის უფლებათა კოდექსთან. მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ასპექტები:

სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 12 სექტემბერს (ოქმი N4) დამტკიცებული შინაგანაწესი და დირექტორის ბრძანებით (№2-07) ძალაში შესული დოკუმენტი მოსწავლის უფლებების დაცვის შესახებ, ქმნის დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოს. სკოლა უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აზრის გამოხატვის თავისუფლებას და პატივს სცემს მათ ინდივიდუალურობას.
სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. მოსწავლეებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში, წარადგინონ მოსაზრებები სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და დაიცვან სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებას, მიიღოს ხარისხიანი განათლება. ამ მიზნით დანერგილია „რემედიაციის პროგრამა“ (ბრძანება №2-14), რომელიც ორიენტირებულია იმ მოსწავლეების მხარდაჭერაზე, რომელთაც ესაჭიროებათ დამატებითი ინტერვენციები ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მისაღწევად.
დისციპლინური გადაცდომების განხილვა ხდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურებით, რაც გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომებს. მოსწავლეს აქვს უფლება, იყოს მოსმენილი და ისარგებლოს სამართლიანი მოპყრობის გარანტიით.
პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები (ბრძანება №2-11) გარანტიას იძლევა, რომ მოსწავლის პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრების მონაცემები დაცულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისა და მშობლებისათვის. მოსწავლის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და მობილობა ხორციელდება გამჭვირვალე წესით (დოკუმენტი №2-08).

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა არა მხოლოდ ფორმალურად აღიარებს მოსწავლეთა უფლებებს, არამედ პრაქტიკულად ახორციელებს მათ დაცვას უსაფრთხო, ემოციურად მხარდამჭერი და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმები და სასკოლო რეგულაციები არის გამჭვირვალე, საჯარო და აქტიურად გაზიარებული სასკოლო საზოგადოებისთვის.

რეგულაციების საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლაში მოქმედებს შემდეგი მექანიზმები:

სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 12 სექტემბერს (ოქმი N4) დამტკიცებული შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში. ეს უზრუნველყოფს ნებისმიერი დაინტერესებული პირის შესაძლებლობას, ნებისმიერ დროს გაეცნოს სკოლაში არსებულ წესებსა და პროცედურებს.
რეგულაციები არ ატარებს მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს. ისინი სისტემატურად განიხილება მშობელთა კრებებზე, პედაგოგიურ საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომებზე. დამრიგებლის პორტფოლიოსა და სადამრიგებლო საათის თემატიკაში (2025-2026 სასწავლო წელი) გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მათი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობა, რაც ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებასა და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას.
სკოლის შიდა რეგულაციებში (მათ შორის, მოსწავლის უფლებების დაცვის შესახებ №2-07 დოკუმენტში) მკაფიოდ არის გაწერილი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც სასკოლო საზოგადოების წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს) აქვთ შესაძლებლობა, გამოვიდნენ ინიციატივით და შეიტანონ ცვლილებები არსებულ წესებში. ეს უზრუნველყოფს სკოლის მართვის პროცესის დემოკრატიულობასა და რეგულაციების შესაბამისობას რეალურ საჭიროებებთან.
მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების (ბრძანება №2-13) თანახმად, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი მათ უფლებებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, რაც რეგულაციების გაზიარების პროცესს ხდის ორმხრივსა და ეფექტიანს.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საკუთარი უფლებებისა და იმ პროცედურების შესახებ, რაც მათ დაცვას ემსახურება. რეგულაციების გამჭვირვალობა და მათი პრაქტიკული გამოყენება სკოლაში ქმნის ნდობაზე დამყარებულ, პროგნოზირებად და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობა რეგულირდება სამართლებრივად გამართული და გამჭვირვალე ხელშეკრულებით, რომელიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-08 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესისა და პროცედურების“ თანახმად, ყოველი ახალი მოსწავლის ჩარიცხვისას ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მხარეთა შორის უფლება-მოვალეობების გამიჯვნის ძირითად მექანიზმს.

ხელშეკრულების შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ასპექტები: ხელშეკრულება მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის პასუხისმგებლობებს ხარისხიანი განათლების მიწოდებისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის კუთხით. მასში დეტალურად არის გაწერილი

მოსწავლის უფლებები და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების (ბრძანება №2-11) შესაბამისად, ხელშეკრულებაში ინტეგრირებულია დებულება მონაცემთა დამუშავების შესახებ. მშობელი ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას მისი და მისი შვილის პერსონალური ინფორმაციის კანონმდებლობის შესაბამისად დამუშავებაზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლებრივ გამჭვირვალობას.
ხელშეკრულება ფორმდება ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სკოლაში (მოსწავლის პირად საქმეში), ხოლო მეორე გადაეცემა მშობელს. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს მხარეთა ინფორმირებულობას ხელშეკრულების პირობების შესახებ ნებისმიერ დროს.
ხელშეკრულების გაფორმებისას მშობლებს ასევე ეძლევათ საშუალება გაეცნონ სკოლის შინაგანაწესს (დამტკიცებული 2025 წლის 12 სექტემბრის №4 ოქმით), რომელიც ხელშეკრულების თანმდევი და მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

ვიზიტისას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმებული მოსწავლეთა პირადი საქმეები ადასტურებს, რომ ხელშეკრულებები ხელმოწერილია მხარეთა მიერ და დაცულია ყველა საჭირო რეკვიზიტი. სკოლაში არსებული ხელშეკრულების ფორმა არის მოქნილი და ორიენტირებული მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დოკუმენტი - „მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმები”
- შინაგანაწესი;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
- ჩატარებული ღონისძიებების ფოტო მასალა.
- მოსწავლეთა ხელშეკრულებების ნიმუშები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლის სტატუსის მართვის ყველა ეტაპი რეგულირდება მკაფიო, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისი მექანიზმებით.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-08 ბრძანებით დამტკიცებულია **„მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესი და პროცედურები“**, რომელიც წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს. აღნიშნული წესი სრულ თანხვედრაშია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის №40/ნ, №35/ნ და №04/ნ ბრძანებებთან. სტატუსის მართვის მექანიზმების შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- **ჩარიცხვის პროცედურა:** პირველ კლასში მოსწავლეთა მიღება ხორციელდება ელექტრონული რეგისტრაციის საფუძველზე, დადგენილი ასაკობრივი ზღვრისა და ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული ადგილების რაოდენობის დაცვით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათთვის ადაპტირებული გარემოს მომზადებას.
- **მობილობა:** სკოლაში მობილობის პროცედურები გამჭვირვალეა. ინფორმაცია ვადებისა და საჭირო დოკუმენტაციის შესახებ განთავსებულია საინფორმაციო დაფასა და ვებგვერდზე. დამრიგებლები პერიოდულად აწვდიან მშობლებს ინფორმაციას მობილობის პერიოდის შესახებ, რაც დასტურდება ჩატარებული ინტერვიუებით.
- **სტატუსის შეჩერება და აღდგენა:** სკოლა მკაცრად იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ საფუძვლებს სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით (მაგ., 45-დღიანი ზედიზედ გაცდენა, საზღვარგარეთ გამგზავრება და სხვ.). სტატუსის აღდგენა ხდება დირექტორის ბრძანებით, რის შესახებაც ინფორმაცია 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება eSchool-ის ბაზაში.
- **საფეხურის დაძლევა და სტატუსის შეწყვეტა:** მკაფიოდ არის განსაზღვრული კლასიდან კლასში გადაყვანისა და საფეხურის დაძლევის კრიტერიუმები. სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით, მათ შორის მშობლის წინასწარი წერილობითი გაფრთხილების მექანიზმით.
- **გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობა:** წესში დეტალურად არის გაწერილი პასუხისმგებელი პირები და დოკუმენტაციის წარმოების ვადები. საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს მონაცემთა დროულ ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სასკოლო საზოგადოება (მშობლები და მოსწავლეები) ინფორმირებულია აღნიშნული რეგულაციების შესახებ. სკოლაში არსებული მექანიზმები გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომებს და ორიენტირებულია მოსწავლის კანონიერი ინტერესების დაცვაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლის სტატუსის მართვის პროცესი სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ხორციელდება გამჭვირვალე, დოკუმენტირებული პროცედურების მეშვეობით.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-08 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესისა და პროცედურების“ საფუძველზე, სტატუსის ნებისმიერი ცვლილება ეფუძნება მკაფიო სამართლებრივ მექანიზმებს:მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება თუ შეწყვეტა ხორციელდება ექსკლუზიურად სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. თითოეული ადმინისტრაციული აქტი ეყრდნობა სათანადო მტკიცებულებებს (მშობლის განცხადება, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, აკადემიური ცნობა და სხვა).

სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა დროულ და წერილობით ინფორმირებას სტატუსის მოსალოდნელი თუ განხორციელებული ცვლილების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტატუსის შეწყვეტის წინა პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს წინასწარ გაფრთხილებასა და გონივრული ვადის მიცემას, რაც იცავს მოსწავლის ინტერესებს.
სტატუსთან დაკავშირებული ყველა ცვლილება ფიქსირდება სპეციალურ მატერიალურ ჟურნალში და პარალელურად აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). მონაცემთა ასახვა ბაზაში ხდება კანონმდებლობით დადგენილ მოკლე ვადებში (2 სამუშაო დღე), რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტ მონიტორინგს.
სკოლაში მოქმედებს კლასიდან კლასში გადაყვანისა და საფეხურის დაძლევის გამართული სისტემა, რომელიც ეყრდნობა მოსწავლის აკადემიურ მიღწევებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ვიზიტისას ინტერვიუებით დადასტურდა, რომ მშობლები და პედაგოგები კარგად იცნობენ სტატუსის მართვის წესებს. პრაქტიკული მტკიცებულებები (პირადი საქმეები, ბრძანებათა წიგნი, ელექტრონული ბაზა) ადასტურებს, რომ სკოლა იცავს დადგენილ რეგულაციებს, რაც გამორიცხავს პროცესის სუბიექტურობას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ინფორმაცია მომსახურების სახეების, პროგრამებისა და შიდა პოლიტიკის შესახებ საჯაროა და სრულად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისა და ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის.

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობას შემდეგი მექანიზმებით: სკოლა ახორციელებს ავტორიზებულ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. ინფორმაცია კურიკულუმების, სასწავლო გეგმებისა და სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ ხელმისაწვდომია სკოლის ადმინისტრაციაში და პერიოდულად განიხილება პედაგოგიურ საბჭოებსა და მშობელთა კრებებზე. ვინაიდან დაწესებულება საჯარო სკოლას წარმოადგენს, მომსახურება უფასოა და არ არის დადგენილი სწავლის საფასური.

სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 12 სექტემბერს (ოქმი N4) დამტკიცებული **შინაგანაწესი** წარმოადგენს მთავარ დოკუმენტს, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მოსწავლის მოსალოდნელ ქცევას, ჩაცმულობის სტილს, უფლება-მოვალეობებსა და დისციპლინურ ნორმებს. დოკუმენტი თვალსაჩინოდ არის განთავსებული სკოლის საინფორმაციო დაფაზე.
სკოლა აქტიურად იყენებს ოფიციალურ Facebook გვერდს, ელექტრონულ ფოსტასა და ვებგვერდს სკოლაში მიმდინარე სიახლეების, პროგრამული ცვლილებებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად.
დამრიგებლის პორტფოლიოსა და სამუშაო გეგმის (2025-2026 სასწავლო წელი) შესაბამისად, მშობლებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის შიდა რეგულაციების შესახებ ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების დროს. მოსწავლეები ქცევის კოდექსსა და უსაფრთხოების წესებს ეცნობიან სადამრიგებლო საათების ფარგლებში.
ინფორმაცია ისეთი სპეციფიკური მომსახურებების შესახებ, როგორიცაა **„რემედიაციის პროგრამა“** (ბრძანება №2-14) ან ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა, მიეწოდებათ უშუალოდ სამიზნე ჯგუფებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის მიზნობრიობასა და ეფექტიანობას.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლაში არ მოქმედებს ფასიანი დამატებითი მომსახურებები, ხოლო არსებული საგანმანათლებლო სერვისების პირობები მკაფიოა და საყოველთაოდ ცნობილი. საჯაროობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს სკოლის მიმართ ნდობის ამაღლებას და მშობელთა ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლის მიერ ინფორმაციის გავრცელების პროცესი არის სისტემური, გამჭვირვალე და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

სკოლის საინფორმაციო პოლიტიკა ეფუძნება არადისკრიმინაციულ მიდგომას და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის თანაბარ ინფორმირებულობას. ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები მოიცავს შემდეგ ასპექტებს: სკოლის მიერ გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, სერვისებისა და რესურსების შესახებ ეყრდნობა ოფიციალურ დოკუმენტაციას (მაგ., დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის ბრძანებებით დამტკიცებული დებულებები). საქმისწარმოების წესის

(ბრძანება №2-15) შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გარანტირებულია, ხოლო დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (E-flow) უზრუნველყოფს მონაცემთა სიზუსტეს.

სკოლის ადმინისტრაცია პერიოდულად ახდენს ინფორმაციის განახლებას საგანმანათლებლო სიახლეებისა და რესურსების შესახებ. მაგალითად, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები (ბრძანება №2-13) და ლაბორატორიით სარგებლობის დებულება (ბრძანება №2-12) თვალსაჩინოდაა განთავსებული შესაბამის სივრცეებში, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა მუდმივ ინფორმირებულობას მიმდინარე წესების შესახებ.

სკოლის შიდა რეგულაციები (მათ შორის, მოსწავლის უფლებების დაცვის შესახებ №2-07 დოკუმენტი) კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას ინფორმაციის მიწოდებისას. კომუნიკაცია როგორც შიდა ჯგუფებში (MS Teams, პედაგოგიური საბჭო), ისე გარე დაინტერესებულ მხარეებთან (მშობელთა კრებები, Facebook გვერდი) ტარდება ეთიკის ნორმების დაცვით და ყველა მხარის ინტერესთა გათვალისწინებით.
ინფორმაციის ეფექტური გავრცელებისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა პლატფორმას: ოფიციალურ ვებგვერდს, ელექტრონულ ფოსტას (Kareli1@mes.gov.ge), საინფორმაციო დაფებსა და სოციალურ ქსელებს. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ სიახლეები პროგრამების (მაგ., რემედიაციის პროგრამა №2-14) ან აქტივობების შესახებ დროულად მივიდეს ადრესატამდე.
მრჩეველთა საბჭოს ოქმები (მაგ., 2025 წლის 29 დეკემბრის №2 ოქმი) ადასტურებს, რომ სკოლა ინფორმაციას არა მხოლოდ გასცემს, არამედ განიხილავს მას დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, რაც პროცესს კიდევ უფრო გამჭვირვალესა და ნდობაზე დამყარებულს ხდის.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ პერსონალი და მშობლები ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას სკოლის სერვისებისა და რესურსების შესახებ. ინფორმაციის გავრცელების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს ჯანსაღი და ინფორმირებული სასკოლო გარემოს შენარჩუნებას.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
- სკოლის ვებგვერდი
- სკოლის სოციალური გვერდი
- მოსწავლეთა პირადი საქმეები
- კორესპონდენცია

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა ადაპტაციისა და ტრანზიციის მწყობრი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ახალბედა და მობილობით გადმოსული მოსწავლეების ჰარმონიულ ინტეგრაციას სასწავლო გარემოში.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის შესაბამისი ბრძანებებით (№2-19 და №2-17) დამტკიცებული „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ და „ტრანზიციის მექანიზმი“ განსაზღვრავს პროცესის ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებსა და მხარდაჭერის ფორმებს. ადაპტაციის მექანიზმი ეფუძნება შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

სკოლა მიზნად ისახავს ბარიერების მოხსნას და წარმატებული კომუნიკაციის დამყარებას. პროცესში წამყვანი როლი ენიჭება დამრიგებელს (№2-18 დებულება), რომელიც პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა დაახლოებისთვის, აცნობს მათ სკოლის შენობას, შინაგანაწესს, უფლება-მოვალეობებსა და უსაფრთხოების წესებს.
ადაპტაციის პროცესი მოიცავს მრავალფეროვან კლასგარეშე აქტივობებს, როგორიცაა ექსკურსიები, ფილმების ჩვენება და თემატური კვირეულები. „ღია კარის დღეების“ პრაქტიკა საშუალებას აძლევს მშობლებსა და მოსწავლეებს, სასწავლო წლის დაწყებამდე გაეცნონ პედაგოგებსა და ინფრასტრუქტურას.
სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის (ბრძანება №2-16) შესაბამისად, მათი ადაპტაციისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნებისა და ისგ ჯგუფის ოქმების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლა ახდენს გარემოსა და სასწავლო მიზნების მორგებას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე.
ადაპტაციის წესი ითვალისწინებს მშობლებისთვის რეკომენდაციების მიწოდებას მოსწავლის დღის რეჟიმის ორგანიზებისა და სტრესის შემცირების მიზნით. სკოლა მუდმივ რეჟიმში აწვდის მშობლებს ინფორმაციას ადაპტაციის დინამიკის შესახებ.
პირველი კლასის დამრიგებლები თანამშრომლობენ თემში არსებულ საბავშვო ბაღებთან, ხოლო საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს დამრიგებლებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას ახალი მოსწავლის აკადემიური წარსულის შესახებ (მათ შორის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტებს).

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა ადგენს დეადაპტაციის ნიშნებს და დროულად ახდენს რეაგირებას შესაძლო სირთულეებზე. ადაპტაციის მექანიზმები რეალურად მოქმედია და მიმართულია მოსწავლის ფსიქო-ემოციური სტაბილურობისა და აკადემიური ჩართულობის უზრუნველყოფისკენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესი სწავლის დაწყების მომენტიდანვე ხორციელდება მიზანმიმართულად, რაც ხელს უწყობს პოზიტიური და უსაფრთხო სასწავლო კლიმატის ჩამოყალიბებას.

სკოლის მიერ შემუშავებული **„მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“** (დამტკიცებული 2026 წლის 13 იანვრის №2-19 ბრძანებით) და **„ტრანზიციის მექანიზმი“** (№2-17 ბრძანება) პრაქტიკაში ეფექტურად გამოიყენება, რაც დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

სწავლის პირველივე დღეებიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირველკლასელთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას. ადაპტაციის წესის შესაბამისად, პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი კლასის დამრიგებლები და ფსიქოლოგი. ტარდება გაცნობითი ტურები, სადაც მოსწავლეები ეცნობიან სკოლის შენობას, უსაფრთხოების წესებსა და სასკოლო გარემოს, რაც ამცირებს მათ ემოციურ სტრესს.
სკოლა ახორციელებს მრავალფეროვან არაფორმალურ აქტივობებს, როგორიცაა ერთობლივი თამაშები, კლასის წესების შემუშავება მოსწავლეთა მონაწილეობითა და საგაკვეთილო პროცესის გადატანა სკოლის გარე სივრცეში. ეს მიდგომა ხელს უწყობს სოციალური ბარიერების მოხსნას და მოსწავლეთა შორის ჯანსაღი კომუნიკაციის დამყარებას.
მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეებისათვის მოქმედებს ტრანზიციის სპეციალური პროცედურა. დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს (რომლის დებულებაც განსაზღვრულია №2-18 ბრძანებით) იყენებს ახალი მოსწავლის კლასთან და მასწავლებლებთან გასაცნობად, რაც აადვილებს მათ ჩართვას სასწავლო პროცესში.
ადაპტაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია მშობლებთან კომუნიკაცია. სკოლა აწვდის მათ რეკომენდაციებს მოსწავლის დღის რეჟიმის ორგანიზებისა და სტრესის მართვის შესახებ, რაც ხელს უწყობს სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობას.
იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც აღენიშნებათ დეადაპტაციის ნიშნები ან აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, სკოლა უზრუნველყოფს ინდივიდუალური მხარდაჭერის მექანიზმებს, მათ შორის ისგ ჯგუფის მუშაობას, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან ინტეგრაციას.

ვიზიტისას მასწავლებლებთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ადაპტაციის ხელშემწყობი ღონისძიებები მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ამცირებს დისციპლინურ დარღვევებს. სკოლაში არსებული პრაქტიკა ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის საუკეთესო ინტერესებსა და მათ ჰარმონიულ განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისა და კონსულტირების ეფექტური სისტემა, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და წინსვლაზე.

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით სკოლაში დანერგილია შემდეგი მექანიზმები: სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-14 ბრძანებით დამტკიცებული „რემედიაციის პროგრამის დებულება“ წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს იმ მოსწავლეების მხარდასაჭერად, რომელთაც უჭირთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების მიღწევა. პროგრამა მოიცავს დიაგნოსტიკას, ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებას და მიზნობრივ ინტერვენციებს (როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე მის გარეთ).

დამრიგებლის პორტფოლიოსა (2025-2026 სასწავლო წელი) და სამუშაო გეგმის შესაბამისად, სკოლაში სისტემატურად ტარდება დამატებითი მეცადინეობები და საკონსულტაციო შეხვედრები პრიორიტეტულ საგნებში (ქართული ენა, მათემატიკა, უცხო ენა). მასწავლებლები ახორციელებენ დიფერენცირებულ სწავლებას, რაც საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი მოერგოს მოსწავლეთა სხვადასხვა აკადემიურ დონეს.
სკოლა ხელს უწყობს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების თვითრეალიზაციას. მათთვის იგეგმება დამატებითი აქტივობები, ხდება მათი წახალისება ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, რაც ზრდის მათ მოტივაციას და აკადემიურ ამბიციას.
კონსულტირების პროცესის განუყოფელი ნაწილია მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობა. დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები რეგულარულად აწვდიან მშობლებს ინფორმაციას მოსწავლის პროგრესის შესახებ, აცნობენ მათ შეფასების შედეგებს და ერთობლივად გეგმავენ სამომავლო ნაბიჯებს აკადემიური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის მოქმედებს ისგ ჯგუფის მუშაობისა და სპეციალური მასწავლებლის კონსულტაციების მექანიზმი (ბრძანება №2-16), რაც უზრუნველყოფს მათთვის ადაპტირებული და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ საკონსულტაციო მომსახურება ხელმისაწვდომია ყველა საფეხურის მოსწავლისთვის. სკოლაში არსებული მხარდაჭერის სისტემა ეხმარება მოსწავლეებს სწავლის სირთულეების დაძლევაში, საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენასა და აკადემიური შედეგების სტაბილურ გაუმჯობესებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა ხორციელდება ოპერატიულად, გამჭვირვალედ და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში.

ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები ეფუძნება სკოლის შიდა რეგულაციებსა და საქმისწარმოების გამართულ სისტემას, რაც ვლინდება შემდეგ გარემოებებში:

სკოლის საქმისწარმოების წესისა (დამტკიცებული 2026 წლის 13 იანვრის №2-15 ბრძანებით) და მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შინსწავლების, ექსტერნატისა და მობილობის შესახებ განაცხადების განხილვას კანონით დადგენილ ვადებში. თითოეული გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და მობილობის წესის (ბრძანება №2-08) თანახმად, ნებისმიერი ცვლილება 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). პროცესი გამჭვირვალეა და დოკუმენტირებულია როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურ ჟურნალებში.
სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით. ტრანსპორტის ტაბელების ანალიზი (მაგ., 2025 წლის ნოემბრის მონაცემები) ადასტურებს, რომ ადმინისტრაცია ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებაზე, რაც წარმოადგენს მათი უფლებების რეალიზების მნიშვნელოვან მხარდაჭერას.
წერილობითი განცხადებების განხილვის პროცესი არის ღია და ორიენტირებული მოსწავლის საუკეთესო ინტერესებზე.
საქმისმწარმოებელი და ადმინისტრაცია უზრუნველყოფენ მშობლებთან მუდმივ უკუკავშირს, რაც დასტურდება ჩატარებული ინტერვიუებით. მშობლები და მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაციული სერვისები არის ადვილად ხელმისაწვდომი და ბიუროკრატიული ბარიერებისგან თავისუფალი.
ნებისმიერი ადმინისტრაციული მხარდაჭერის პროცესში სკოლა იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმებს (ბრძანება №2-11), რაც უზრუნველყოფს მოსწავლისა და მშობლის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია მოქმედებს როგორც მხარდამჭერი რგოლი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს საკუთარი უფლებების სრულფასოვან რეალიზებაში. ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობასა და მოსწავლეთა კეთილდღეობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში არაფორმალური განათლება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა წარმოადგენს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განუყოფელ და პრიორიტეტულ ნაწილს.

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესითა და კვალიფიციური პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შემდეგი მექანიზმებით: სკოლაში ფუნქციონირებს უფასო სპორტული წრეები (ხელბურთი, ჭადრაკი), რომლებსაც უძღვებიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. ეს აქტივობები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის და ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. გარდა ამისა, სკოლა ჩართულია STEM პროგრამებში, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, პრაქტიკულად გამოიყენონ ტექნოლოგიური და სამეცნიერო ცოდნა.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-13 ბრძანებით დამტკიცებული **„მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების“** საფუძველზე, მოსწავლეებს აქვთ რეალური პლატფორმა საკუთარი იდეების რეალიზებისთვის. თვითმმართველობა უფლებამოსილია შეიმუშაოს და ადმინისტრაციას წარუდგინოს მოსაზრებები სასკოლო ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მოაწყოს პროექტები და ღონისძიებები.
დამრიგებლის პორტფოლიოსა და სამუშაო გეგმის (2025-2026 სასწავლო წელი) მიხედვით, სკოლაში რეგულარულად ხორციელდება პროექტული სწავლება, თემატური კვირეულები (მაგალითად, დედამიწის დღე, დედაენის დღე) და საქველმოქმედო თუ კულტურული ღონისძიებები. სკოლის ინფრასტრუქტურა (სააქტო დარბაზი, ფართო დერეფნები) აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა ნამუშევრების გამოსაფენად და პრეზენტაციების მოსაწყობად.
თვითმმართველობის დებულება ითვალისწინებს გამორჩეული მოსწავლეების წახალისების შესახებ შუამდგომლობის დაყენებას დირექციის წინაშე. სკოლა ხელს უწყობს მოტივირებული მოსწავლეების მონაწილეობას ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და კონკურსებში, რაც დასტურდება როგორც დოკუმენტურად, ისე ინტერვიუების შედეგად.
არაფორმალურ აქტივობებს კოორდინაციას უწევენ გამოცდილი პედაგოგები, დამრიგებლები და მოწვეული მწვრთნელები, რომლებიც უზრუნველყოფენ აქტივობების შესაბამისობას მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან და უსაფრთხოების ნორმებთან.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა ქმნის სტიმულირებად გარემოს, სადაც მოსწავლეებს აქვთ თავისუფლება, იყვნენ ინიციატორები და აქტიურად ჩაერთონ არაფორმალური განათლების პროცესში. ეს მიდგომა ხელს უწყობს მათ სოციალიზაციას, კრიტიკული აზროვნებისა და ლიდერული თვისებების განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის სისტემური მექანიზმი, რაც პირდაპირ აისახება საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

უკუკავშირის საფუძველზე მომსახურების განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ კომპონენტებს: სკოლა იყენებს უკუკავშირის როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ მეთოდებს. მათ შორისაა ელექტრონული კითხვარები, ფოკუს-ჯგუფები, მშობელთა კრებები და ინდივიდუალური შეხვედრები. დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-13 ბრძანებით დამტკიცებული **„მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“** განსაზღვრავს თვითმმართველობის უფლებას, წარუდგინოს ადმინისტრაციას წინადადებები სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის გასაუმჯობესებლად.

დამრიგებლის პორტფოლიოსა (2025-2026 სასწავლო წელი) და მუშაობის დებულების (№2-18 ბრძანება) თანახმად, დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა საჭიროებების მუდმივ მონიტორინგს და მიღებულ ინფორმაციას აწვდიან ადმინისტრაციას. ამ პროცესის შედეგია, მაგალითად, სწავლების განრიგის კორექტირება მოსწავლეთა წინადადებების გათვალისწინებით და კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა მათი ინტერესების შესაბამისად.
მრჩეველთა საბჭოს ოქმები (მაგ., 2025 წლის 29 დეკემბრის №2 ოქმი) ადასტურებს, რომ სკოლა განიხილავს მშობლებისა და თემის წევრების ინიციატივებს უსაფრთხოების, ინფრასტრუქტურისა და სასწავლო რესურსების განვითარების შესახებ. უკუკავშირის საფუძველზე მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება, როგორიცაა ტრანსპორტირების ორგანიზება (რაც დასტურდება ტრანსპორტის ტაბელებით) და სსსმ მოსწავლეთათვის სერვისების ადაპტაცია.
აკადემიური უკუკავშირის საფუძველზე სკოლაში ამოქმედდა **„რემედიაციის პროგრამა“** (ბრძანება №2-14), რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული მოსწავლეების სწავლის შედეგების გაუმჯობესებას ინდივიდუალური მხარდაჭერის გზით. ეს არის პირდაპირი პასუხი იმ გამოწვევებზე, რომლებიც იდენტიფიცირებულ იქნა მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის შედეგად.
შიდა რეგულაციებით (მაგ., ადაპტაციის წესი №2-19) განსაზღვრულია მშობლებთან მუდმივი კომუნიკაციის ვალდებულება. სკოლა არა მხოლოდ აგროვებს ინფორმაციას, არამედ ახდენს საზოგადოების ინფორმირებას იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა მათი რეკომენდაციების საფუძველზე.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლაში არსებული „ღია კარის“ პოლიტიკა და ელექტრონული პლატფორმები (Teams, Facebook გვერდი, ელფოსტა) ქმნის პოზიტიურ გარემოს კონსტრუქციული უკუკავშირისთვის. მიღებული ინფორმაციის ანალიზი სკოლას ეხმარება იყოს მოქნილი და ორიენტირებული მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შიდა რეგულაციები და დირექტორის ბრძანებები
- საგნობრივი კონსულტაციების გრაფიკი და ჟურნალები
- ინტერვიუს ჩანაწერები პედაგოგებთან და მოსწავლეებთან
- ფოტომასალა არაფორმალური აქტივობებიდან
- თვითმმართველობის ოქმები და უკუკავშირის ფორმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხორციელდება სისტემურად, რაც ეხმარება მოსწავლეებს მომავალი პროფესიის გააზრებულ არჩევაში.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას შემდეგი მექანიზმებისა და აქტივობების მეშვეობით:

დამრიგებლის პორტფოლიოსა (2025-2026 სასწავლო წელი) და მუშაობის დებულების (ბრძანება №2-18) შესაბამისად, სადამრიგებლო საათების ფარგლებში აქტიურად ხორციელდება პროფესიების პოპულარიზაციისა და კარიერული ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები. დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას განათლების გაგრძელების გზებისა და სხვადასხვა პროფესიული მიმართულებების შესახებ.
სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან. თანამშრომლობის ფარგლებში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, მასტერკლასები და „ღია კარის დღეები“, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, პრაქტიკულად გაეცნონ პროფესიული განათლების სპეციფიკასა და უპირატესობებს. სკოლაში იგეგმება პროფესიული სასწავლებლის სივრცის გახსნა.
სკოლაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, 2026 წლის სექტემბრიდან იგეგმება პროფესიული სწავლების დანერგვა „კულინარიისა“ და „გრაფიკული დიზაინის“ მიმართულებებით. ეს ინიციატივა მოსწავლეებს მისცემს საშუალებას, თეორიულ ცოდნასთან ერთად, სკოლის ბაზაზევე განივითარონ პრაქტიკული პროფესიული უნარები.
ადმინისტრაციისა და დამრიგებელთა კოორდინირებული მუშაობით, პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია ყველა საფეხურის მოსწავლისთვის, რაც უზრუნველყოფს მათ თანაბარ ჩართულობას კარიერული განვითარების პროცესში.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებაზე და ქმნის გარემოს, სადაც პროფესიული ორიენტაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ თეორიული კონსულტაციებით, არამედ მოიცავს პრაქტიკულ გამოცდილებასა და სამომავლო პერსპექტივების დაგეგმვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლა სისტემატურად უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდებას კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

დამრიგებლის მუშაობის დებულებისა (ბრძანება №2-18) და პორტფოლიოს (2025-2026 სასწავლო წელი) შესაბამისად, კარიერული დაგეგმვა სადამრიგებლო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია. დამრიგებლები რეგულარულად ატარებენ დისკუსიებს პროფესიის არჩევის თემაზე, აცნობენ მოსწავლეებს უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების მიღების პირობებს, სახელმწიფო პროგრამებსა და საგრანტო შესაძლებლობებს.
სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა დროულ ინფორმირებას საინფორმაციო შეხვედრებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების გზით. მშობლებთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ადმინისტრაცია და პედაგოგები მათ აწვდიან სანდო ინფორმაციას საგანმანათლებლო საფეხურის დასრულების შემდგომი პერსპექტივების შესახებ, რაც ეხმარება მათ შვილებთან ერთად გააზრებული გადაწყვეტილების მიღებაში.
საკარიერო სიახლეების გავრცელება ხდება როგორც პირისპირ შეხვედრების, ისე სკოლის ოფიციალური სოციალური გვერდისა და ელექტრონული პლატფორმების (Teams, Messenger) საშუალებით. აქ პერიოდულად ქვეყნდება ინფორმაცია პროფესიული სასწავლებლების პროგრამების, მასტერკლასებისა და „ღია კარის დღეების“ შესახებ.
სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის სექტემბრიდან იგეგმება პროფესიული სწავლების დანერგვა („კულინარია“ და „გრაფიკული დიზაინი“), რაც მოსწავლეებს მისცემს დამატებით შესაძლებლობას, სკოლის ბაზაზევე გაეცნონ პროფესიულ მიმართულებებს.
სკოლის შიდა რეგულაციებით (ბრძანება №2-07) გარანტირებულია ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს, რომ მიწოდებული ინფორმაცია იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ კარიერული ინფორმაციის მიწოდება სკოლაში არ ატარებს ეპიზოდურ ხასიათს და იგი წარმოადგენს მოსწავლეთა მხარდაჭერის ერთიანი სისტემის ნაწილს, რაც ეხმარება მათ წარმატებულ ტრანზიციაში განათლების მომდევნო საფეხურზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების განვითარების პროცესში ეყრდნობა შეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო სერვისების მუდმივ გაუმჯობესებას.

სკოლაში მოქმედებს უკუკავშირის პრაქტიკული მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც რეგულარულად გროვდება ინფორმაცია მოსწავლეებისგან, მშობლებისა და დამრიგებლებისგან კარიერული აქტივობების ეფექტურობის შესახებ. მიღებული მონაცემები განიხილება ადმინისტრაციისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, რაც საფუძვლად უძღვის სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა იყენებს შეფასების არაფორმალურ ინსტრუმენტებს, პრაქტიკაში დასტურდება მუდმივი ანალიზის ტენდენცია. უკუკავშირის საფუძველზე მოხდა პროფესიული ორიენტაციის საკითხების უფრო მჭიდრო ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში, რათა მომსახურება გახდეს უფრო სისტემური და გეგმაზომიერი.

სკოლა ატარებს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვებს პროგრამების რელევანტურობის შესაფასებლად. კურსდამთავრებულთა წარმატების მონიტორინგი ადმინისტრაციას ეხმარება გააანალიზოს გამოყენებული მიდგომების გრძელვადიანი შედეგები და საჭიროებისამებრ მოახდინოს სტრატეგიის კორექტირება.
შეფასების შედეგების გათვალისწინების თვალსაჩინო მაგალითია სკოლის გადაწყვეტილება 2026 წლის სექტემბრიდან პროფესიული სწავლების მიმართულებების („კულინარია“, „გრაფიკული დიზაინი“) დანერგვის შესახებ. აღნიშნული ინიციატივა პასუხობს მოსწავლეთა ინტერესებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც იდენტიფიცირებულ იქნა კარიერული მომსახურების შეფასების პროცესში.
ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა (ბრძანება №2-09) და შიდა მონიტორინგის მექანიზმების ფარგლებში, სკოლა პერიოდულად აფასებს არაფორმალური და დამატებითი აქტივობების გავლენას მოსწავლეთა პროფესიულ თვითგამორკვევაზე.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა ორიენტირებულია განვითარებაზე და მომსახურების შეფასების შედეგებს იყენებს არა მხოლოდ ფორმალური ანგარიშგებისთვის, არამედ რეალური ცვლილებების ინიცირებისთვის, რაც ამაღლებს კარიერული დაგეგმვის მომსახურების ხარისხს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სადამრიგებლო პროგრამები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის მწყობრი, კანონმდებლობასთან შესაბამისი და პრაქტიკაში მოქმედი მექანიზმი.

ინკლუზიური განათლების მართვა ეფუძნება სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-16 ბრძანებით დამტკიცებულ **„სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციას“**, რომელიც განსაზღვრავს სერვისების მიწოდების ეტაპებსა და სტანდარტებს.

სკოლაში მოქმედებს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების ადრეული იდენტიფიცირების სისტემა. პირველ კლასში ჩარიცხვისას ან სასწავლო პროცესში სირთულეების გამოვლენისთანავე, სკოლა უზრუნველყოფს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის შეფასების პროცედურის ინიციირებას მშობლის თანხმობით.
თითოეული სსსმ მოსწავლისთვის იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ გეგმას. წარმოდგენილი ისგ ჯგუფის ოქმები და ინდივიდუალური გეგმის დანართები ადასტურებს, რომ გეგმა მოიცავს როგორც საგნობრივ, ისე ქცევით და სოციალურ მიზნებს. პედაგოგიურ საბჭოზე ისგ-ის დამტკიცებისას მკაცრად არის დაცული კონფიდენციალურობის პრინციპი.
სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით: სპეციალური მასწავლებლებით, ასისტენტებითა და ფსიქოლოგით. მათი ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გაწერილი შიდა რეგულაციებითა და შრომითი ხელშეკრულებებით. სპეციალური მასწავლებელი კოორდინაციას უწევს მშობლების ინფორმირებას მოსწავლის მიღწევების შესახებ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.
სკოლაში ხორციელდება მოსწავლის პროგრესის მუდმივი მონიტორინგი. ისგ ჯგუფის სხდომებზე (მაგ., სემესტრის ბოლოს) ხდება განხორციელებული სასწავლო პროცესის შეჯამება, მიღწევების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში, მომდევნო სემესტრის გეგმის კორექტირება, რაც უზრუნველყოფს სწავლების უწყვეტ განვითარებას.
მექანიზმი ითვალისწინებს არა მხოლოდ აკადემიურ მხარდაჭერას, არამედ ფიზიკური გარემოს მორგებასა და დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა სრულფასოვან ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი რეალურად მოქმედი ინსტრუმენტია, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა მხარდაჭერა ეფუძნება გუნდური მუშაობის, მრავალმხრივი თანამშრომლობისა და სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობის პრინციპებს.

ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართულ მხარეთა კოორდინირებული მუშაობა რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №2-16 ბრძანებით დამტკიცებული **„სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციით“.**

სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც აერთიანებს საგნის მასწავლებლებს, სპეციალურ პედაგოგებს, ასისტენტებს, ფსიქოლოგსა და ადმინისტრაციას. ისგ ჯგუფის ოქმების ანალიზი (მაგ., სემესტრის შემაჯამებელი ოქმი)

ადასტურებს, რომ გადაწყვეტილებები მოსწავლის სასწავლო მიზნებისა და ინტერვენციების შესახებ მიიღება კოლეგიურად, ყველა ჩართული მხარის პოზიციის გათვალისწინებით.
სკოლა უზრუნველყოფს მშობლების აქტიურ მონაწილეობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. შიდა რეგულაციით განსაზღვრულია მშობელთა რეგულარული ინფორმირება (არანაკლებ 3 თვეში ერთხელ) მოსწავლის მიღწევებისა და პროგრესის შესახებ, რასაც კოორდინაციას უწევს სპეციალური მასწავლებელი.
სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სსსმ მოსწავლეთა სოციალიზაციას. "თანატოლთა მხარდაჭერის" პროგრამისა და სხვადასხვა არაფორმალური აქტივობების (ექსკურსიები, თემატური კვირეულები) მეშვეობით ხდება პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება, რაც ხელს უწყობს ბარიერების მსხვრევას და თითოეული მოსწავლის სრულფასოვან ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში.
პედაგოგებისა და პერსონალისთვის სისტემატურად ტარდება სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები ინკლუზიური განათლების სფეროში. ეს უზრუნველყოფს სწავლების დიფერენცირებული მიდგომების ეფექტურ გამოყენებას და სსსმ მოსწავლეებისთვის ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.
სკოლა ახორციელებს მოსწავლის განვითარების დინამიკის მუდმივ ანალიზს. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე ხდება მიღწეული შედეგების შეჯერება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან, რაც საფუძვლად უძღვის შემდგომი მხარდაჭერის სტრატეგიების დაგეგმვას.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სსსმ მოსწავლის მხარდაჭერა სკოლაში არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური ასპექტებით; იგი წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელიც მიმართულია მოსწავლის პიროვნული ზრდისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისკენ.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დოკუმენტი „სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი”
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (სსგ)
- ისგ-ის შეხვედრების ოქმები
- სკოლის საშტატო განრიგი
- შრომითი ხელშეკრულებები სპეციალისტებთან.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებები ხორციელდება კანონმდებლობის სრული დაცვით და შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი სერვისების შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ტრანსპორტირებას კონკრეტული მარშრუტებით (მაგალითად, სოფელი ლეთეთი - ახალგაზრდობის ქუჩა - ქარელის №1 საჯარო სკოლა). ტრანსპორტირების პროცესი რეგულირდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით. 2025 წლის ნოემბრის ტრანსპორტის ტაბელების ანალიზი ადასტურებს, რომ სერვისი ხორციელდება გეგმაზომიერად, ყოველდღიური აღრიცხვიანობისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

სკოლის 2025 წლის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს კვების ბლოკი. აღნიშნული მომსახურების მისაწოდებლად სკოლამ იჯარით გასცა 59.00 კვ.მ ფართი, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ისარგებლონ კვების სერვისით სკოლის ტერიტორიაზე. იჯარის ხელშეკრულება და საქმიანობის ფორმატი შეესაბამება საჯარო სკოლებისთვის დადგენილ რეგულაციებს.

დამატებითი მომსახურებები ატარებს არასავალდებულო ხასიათს და ეფუძნება მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებს. ტრანსპორტირებისა და კვების სერვისების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას.

სკოლა დამატებით მომსახურებებს ახორციელებს მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში. ტრანსპორტირების შემთხვევაში ეს დასტურდება მუნიციპალიტეტთან გაფორმებული დოკუმენტაციით, ხოლო კვების ბლოკის შემთხვევაში — ფართის იჯარით გაცემის კანონიერი პროცედურით.

ადმინისტრაცია ახორციელებს გაწეული მომსახურების მუდმივ მონიტორინგს (მაგ., ტრანსპორტის ტაბელების შევსება 3 ეგზემპლარად), რაც გამორიცხავს ხარვეზებს და ორიენტირებულია მოსწავლეთა კეთილდღეობაზე.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლაში სხვა სახის დამატებითი მომსახურებები არ მოქმედებს, ხოლო არსებული სერვისები (ტრანსპორტი, კვება) ეფექტურად ემსახურება სასწავლო პროცესის მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებები ხორციელდება ნებაყოფლობითობისა და გამჭვირვალობის პრინციპების სრული დაცვით.

სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების მართვის პროცესის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურებები (მაგალითად, ტრანსპორტირება, კვება, სპორტული წრეები) ატარებს არასავალდებულო ხასიათს. მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სერვისებით სარგებლობა ეფუძნება მხოლოდ მათ სურვილსა და საჭიროებას, ყოველგვარი იძულების ან არაპირდაპირი ზეწოლის გარეშე.
მომსახურების გაწევის პირობები წინასწარ არის ცნობილი და შეთანხმებული დაინტერესებულ მხარეებთან. 2025 წლის ნოემბრის ტრანსპორტის ტაბელების ანალიზი და ფინანსური ანგარიში (ბრძანება №2-08) ადასტურებს, რომ სერვისების მიწოდება ხორციელდება მართვის კოლეგიურ ორგანოებთან (სამეურვეო საბჭო) კოორდინაციითა და დადგენილი წესების დაცვით.
მომსახურების მიმღებებს წინასწარ მიეწოდებათ სრული ინფორმაცია სერვისის შინაარსის, ხანგრძლივობისა და მხარეთა ვალდებულებების შესახებ. ეს უზრუნველყოფს მოსწავლისა და მშობლის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას.
სკოლის მიერ შეთავაზებული არაფორმალური აქტივობები, როგორიცაა ხელბურთისა და ჭადრაკის უფასო წრეები, ასევე STEM პროგრამაში მონაწილეობა, პირდაპირ ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკურ, ინტელექტუალურ და შემოქმედებით განვითარებას. აღნიშნული აქტივობები ავსებს, მაგრამ არ ცვლის სავალდებულო სასწავლო პროცესს.
ადმინისტრაცია უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების მუდმივ კონტროლს. ტრანსპორტირების შემთხვევაში, სამ ეგზემპლარად შევსებული ტაბელები და მუნიციპალიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობა ადასტურებს, რომ სკოლა ზრუნავს სერვისის უსაფრთხოებასა და გამართულობაზე.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლაში არსებული პრაქტიკა სრულად შეესაბამება თანასწორობის პრინციპს, რაც საშუალებას აძლევს ყველა მოსწავლეს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ჩაერთოს შეთავაზებულ პროგრამებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ქარელის N1 საჯარო სკოლაში იმ მომსახურებების მიწოდება, რომლებიც არ საჭიროებს სპეციალურ ლიცენზირებას ან ნებართვას, ხორციელდება უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვით და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს შემდეგი მექანიზმებით:

სკოლის შინაგანაწესით (დამტკიცებული 2025 წლის 12 სექტემბრის №4 ოქმით) დადგენილია მკაცრი რეგულაციები სკოლის ტერიტორიაზე პირთა გადაადგილებისა და ქცევის შესახებ. უსაფრთხოების მონიტორინგს მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ მანდატურები და მორიგე მასწავლებლები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლაბორატორიებსა და სპორტულ სივრცეებს (ბრძანებები №2-12 და №2-20), სადაც აქტივობები მხოლოდ პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით მიმდინარეობს.

ისეთი დამატებითი მომსახურებები, როგორიცაა ხელბურთისა და ჭადრაკის უფასო წრეები, ხორციელდება კვალიფიციური სპეციალისტების მიერ. შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს, რომ არაფორმალური აქტივობებისთვის გამოყენებული სივრცეები და ინვენტარი რეგულარულად მოწმდებოდეს და შეესაბამებოდეს უსაფრთხოების ნორმებს.
ყოველი დამატებითი აქტივობა (კლუბური მუშაობა, პროექტული სწავლება, ექსკურსიები) იგეგმება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. მოსწავლის უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი (№2-07) და ადაპტაციის წესი (№2-19) გარანტიას იძლევა, რომ ნებისმიერი მომსახურება ორიენტირებულია მოსწავლის კეთილდღეობაზე, სოციალიზაციასა და პოზიტიური სასწავლო კლიმატის შექმნაზე.
ტრანსპორტირების სერვისის განხორციელებისას სკოლა იყენებს სპეციალურ სააღრიცხვო ტაბელებს, რაც საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს თითოეული მოსწავლის უსაფრთხო გადაადგილება დადგენილ მარშრუტებზე.

არაფორმალურ აქტივობებსა და კარიერულ ღონისძიებებს კოორდინაციას უწევენ დამრიგებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რაც გამორიცხავს მოსწავლეთა უმეთვალყურეოდ ყოფნას და უზრუნველყოფს მათ დაცულობას როგორც საგაკვეთილო, ისე არასაგაკვეთილო დროს.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ კანონით დადგენილი მინიმალური მოთხოვნებით და საკუთარი ინიციატივით ნერგავს დამატებით დამცავ მექანიზმებს, რაც ქმნის ნდობაზე დამყარებულ გარემოს მშობლებისა და მოსწავლეებისთვის.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს თანხმობა (ოქმი)
- დირექტორის შესაბამისი ბრძანებები
- კლუბის მუშაობის ანგარიში

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ქ.ქარელის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის N2-03 ბრძანებით დამტკიცებულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. დოკუმენტში წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პროცესები: შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს თანამშრომლობითი და გუნდური პრინციპების საფუძველზე. პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ფუნქციები, პრიორიტეტები და შეხედულებები. კურიკულუმის განვითარებაში ჩართულნი არიან მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და ადმინისტრაცია. სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია. მასში უამრავი ადამიანი იღებს მონაწილეობას, თუმცა, პასუხისმგებლობის ცენტრი გადადის კათედრის თავმჯდომარეებსა და დირექტორზე რომელიც პასუხს აგებს სასწავლო პროცესების მიმდინარეობაზე და ხარისხის უზრუნველყოფაზე. აღნიშნული პროცესი გაწერილია შესაბამის დოკუმენტში და ეფუძნება წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ანალიზს. გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მიმდინარეობს კურიკულუმების განახლება და შემუშავება. კათედრის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნების პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, იაზრებენ საგნების მიხედვით სამიზნე ცნებების/ქვეცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობან და აღნიშნულზე ამახვილებენ ყურადღებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაძლებლობები, რაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) დოკუმენტით და ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის, საგნის მასწავლებლისა და მშობლის ჩართულობით. დაწესებულებამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის სხდომების ოქმები და მშობელთა კრების ოქმები, რომლებიც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სსიპ ქ.ქარელის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. ავტორიზაციის ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს შორის გამართული ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების გათვალისწინებას. გასაუბრებებზე აღინიშნა, რომ შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების შედეგებსაც. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებები, სადაც გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზნები მკაფიოდ ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში.

შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრების ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის დახვეწა. თვალსაჩინოა კათედრათაშორისო თანამშრომლობა. როგორც კათედრის შიგნით, ისე კათედრებს შორის, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება პროექტული დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, ერთობლივად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, რაც საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა მიღწევები, საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ კურიკულუმებში. პედადოგები აღნიშნავენ, რომ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს განიხილავენ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შეიმუშავების საკვანძო ეტაპია კათედრის ფორმატში თანამშრომლობა. სასწავლო წლის დაწყებამდე შექმნილი კურიკულუმი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და შემდეგ

უკვე სამეურვეო საბჭოს, შესაბამისად, ეს პროცესი კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში არსებული სამივე საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლოს საზოგადოების მიერ. კერძოდ, სკოლაში შემუშავებული კურიკულუმები, პირველ ეტაპზე, ზიარდება და განიხილება საგნობრივ კათედრებზე, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კათედრების ოქმის მტკიცებულებები. ასევე, დამრიგებლები მშობელთა კრებაზე მშობლებს აცნობენ კურიკულუმის ძირითად ასპექტებს, კათედრის სხდომებზე პედაგოგები პერიოდულად განიხილავენ კურიკულუმების მუშაობის ეფექტიანობას. სკოლის მიერ წარმოდგენლი კათედრის ოქმი ცხადყოფს, რომ განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების ერთობლივი ანალიზი. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ისინი ეცნობიან სხვადასხვა საგნის კურიკულუმებსაც და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებებს. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს ინფორმაცია კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ძირითადად, მიეწოდებათ სკოლის სოციალური მედიის გვერდის მეშვეობით ან ინდივიდუალურ შეხვედრებზე . შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- პედსაბჭოს ოქმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- ინდ. გეგმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	***საბუნებისმეტყველო კათედრის სამივე საფეხურის*** კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის სწავლება, საკითხები დალაგებულია ისე , რომ მოსწავლსათვის შედეგის მიღწევა უფრო ხელსაყრელი იყოს კურიკულუმში შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად დაგეგმილია კომპლექსურები, პროექტები ან სხვა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. სასწავლო პროცესი თანხვედრაშია საგნობრივ კურიკულუკუმთან , რაც დადასტურდება შესრულებული აქტივობების საფუძველზე, (შემოქმედებითი პროდუქტის ამსახველი ფოტო მასალა, შესრულებული დავალების ნიმუშები, რეფლექსიები.) **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. **რჩევა:** სასურველია **საბაზო და საშუალო საფეხურზე გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმებში** ყველა შუალედური მიზნის/დავალების იდეის გრაფაში დაკონკრეტებული იყოს და მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ, მაგ. ეს შეიძლება იყოს პოსტერი, სტატია, დღიური, ვიდეორგოლის მომზადება და ა.შ. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ჰქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
უცხოური ენები	უცხოური ენების სამივე საფეხურის კურიკულუმები შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურების დონეზე. შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილია ისეთი ტიპის შემოქმედებითი პროდუქტის სახის დავალებები, რაც შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ეს მიდგომა მიმართულია ცოდნის სიღმისეული და ფუნქციური გააზრებისკენ და მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, რომ განვითარდეს ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით, გამოვლინოს საკუთარი შესაძლებლობები და შეიძინოს ის ცოდნა, უნარები და გამოცდილება, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები(მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)იმგვარადაა აგებული,რომ აქცენტი კეთდება საჭირო კომპონენტებზე,ჩანს თემა,რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა

	შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს,წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა** :სასურველია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საბაზო საფეხურის კურიკულუმებში თემატური ბლოკის/თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დანუშავება . **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა, მიმართულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა-განვითარებაზე. კათედრის წარმომადგენლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე ისე, რომ მოსწავლეთა განვითარებას შეუწყონ ხელი. ჩანს, რომ სასწავლო პროცესისას მუშავდება ყველა სამიზნე ცნება , შუალედური სასწავლო მიზნები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე და უკავშირდება შესაბამის სასწავლო შინაარსს, თუმცა ზოგ შემთხვევაში ჩარჩო- დოკუმეტში შეინიშნება მცირე ხარვეზები, რომლებიც განემარტა სკოლის წარმომადგენლებს და მიეცა რჩევა. **რჩევა:** სკოლის სახელმწიფო ენის ზოგიერთი კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტს აკლია (ან არეულია) სავალდებულო კომპონენტები (მაგ: VII – XI კლასებში- ტექსტები/კონტექსტ-მაგალითებით , მითითებულია საკითხებად) სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში სწორად და სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი მისი შემადგენელი ელემენტებ**ი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	კურიკულუმებში მოსწავლეზე ორიენტირებული დაგეგმვის მცდელობა კარგად იკვეთება — დავალებების უმეტესობა დაკავშირებულია მოსწავლის ყოველდღიურ გამოცდილებასთან და პრაქტიკულ სიტუაციებთან. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით გამოირჩევა I კლასი, სადაც მოსწავლეს დავალებად აქვს ცხოველთა თავშესაფრის მაკეტის დამზადება და II კლასი, სადაც კლასის ბიბლიოთეკის მოსაწყობად წიგნის კარადის დიზაინი და ნახატი უნდა შექმნას. ეს დავალებები მოსწავლეს რიცხვებსა და გეომეტრიას უკავშირებს რეალურ, ახლობელ კონტექსტს.საბაზო საფეხურზე ასევე გვხვდება საინტერესო მიდგომები: VI კლასში მოსწავლე ათწილადს უკავშირებს ფულის ამოცანებს და ფასებს, VII კლასში — ვენის დიაგრამებსა და ლოგიკურ მიმართებებს, IX კლასში კი გამოყენებულია განსაკუთრებით საინტერესო კონტექსტი — საგზაო შემთხვევის მათემატიკური მოდელირება, სადაც მოსწავლე იკვლევს მანქანის სიჩქარეს. ეს დავალებები მოსწავლეს სწავლის პრაქტიკულ მნიშვნელობას აგრძნობინებს.საშუალო საფეხურზე შესამჩნევია ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება — X კლასში Geogebra-ში შექმნილი სიმულაციის ანალიზი, XI კლასში გრაფიკული კალკულატორით გეომეტრიული გარდაქმნების დემონსტრირება, XII კლასში კი მოსწავლეს თავად უწევს მათემატიკური ამოცანის შედგენა სხვებისთვის, რაც შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას ავითარებს.

	რჩევა: სასურველია III კლასის კურიკულუმში დაემატოს შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელიც მოსწავლის ყოველდღიურ გამოცდილებას დაუკავშირდება. V, VI, VII კლასში რამდენიმე პატარა დავალებების ჩამონათვალი შეიცვალოს ერთიანი პრაქტიკული დავალებით - ისევე, როგორც ეს სხვა კლასებშია გაკეთებული. VIII კლასში კი დაკონკრეტდეს „საზროვნო, ინტელექტუალური, გასართობი" დავალების შინაარსი, რათა მასწავლებელს და მოსწავლეს ნათელი იყოს, რა კონკრეტულად მოეთხოვებათ. გარდა ამისა, საჭიროა **ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა**: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ერთნაირი შაბლონი დოკუმენტს უფრო გასაგებს და გამოსაყენებელს გახდის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ ს და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმები II-VI კლასში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები; სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზნებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში ეროვნული საწავლო მიზნები შესაბამისობაშია შესასწავლ თემებთან და საკითხებთან.. აქტივობები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო მიზნების შესაბამისად., საგნის

	საათობრივი დატვირთვა შესაბამისობაშია ესგ-ს სტანდართან. თემის/ საკითხის შესასწავლად გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს შედეგის მღწევას. საგნობრივი აქტივობები შესაბამისობაშია თემასთან და საკითხთან რაც მოსწავლეს გაუადვილებს საკითხის გააზრებას (კვლევა , კომპლექსური, პროექტი) **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი ძირითად დაგეგმილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემების მიხედვით და განსაზღვრულია გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა შემოქმედებითი ტიპის ან პროექტული დავალებებით. **რჩევა:** სასურველია **დაწყებით საფეხურზე „ჩვენი საქართველოს“ მე-5 კლასის** საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემის დამუშავება, გაწერილია სამი სავალდებულო თემა: ქართლი, სამეგრელო, სვანეთი და დასამატებელია იმერეთისა და აჭარის თემები. სასურველია ასევე ერთი თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
უცხოური ენები	წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და მეთოდური რეკომენდაციები და მათი შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შედეგების მიღწევას. შერჩეულია ისეთი ტიპის შუალედური დავალებები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი , სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია, რომ 1. სამივე საგანში (უმეტესად ინგლისურსა და რუსულ ენებში), წლის მანძილზე გასავლელი თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება და კურიკულუმში სრულყოფილად აისახოს შემოქმედებითი პროდუქტის დავალების იდეა/პირობა. 2. ინგლისურ და რუსულ ენებში, გააზრებული საგნობრივი შინაარსების გადმოსაცემად და სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღსაწერად, ქვესაკითხების ჩამონათვალი იყოს სრულყოფილი და ზუსტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო გარემოს უზრუნველყოფისთვის, კურიკულუმში შუალედურ მიზნებად ჩადებულია შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობები. კურიკულუმებში აქცენტი კეთდებასაგნისათვის საჭირო კომპონენტებზე,ჩანს თემა,რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს,წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
სახელმწიფო ენა	ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება იკვეთება ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმებში. კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს ისეთი უნარების განვითარებას , როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული

	აზროვნება კომუნიკაცია და თანამშრომლობა. მაგალითად, II კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების იდეაა ,, წერილი პერსონაჟს ს.ს. ორბელიანის „ ძუნწი და ოქროს“ მიხედვით“; VI კლასში- ,,ტექსტის მიხედვით დაახასიათე ალექსანდრე ყაზბეგი ,გამოკვეთე მისი თვისებები და განამტკიცე მისივე საქციელის მაგალითებით“ (,,ნამწყემსარის მოგონებების“ შესწავლისას);VIII კლასის კურიკულუმში მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია ,,წერილი თანაკლასელს“ (დაფიქრდი და აღმოაჩინე ის, რით არის გამორჩეული შენი გვერდით მჯდომი თანაკლასელი და ეს წერილში გაანდე). დასახელებული შემოქმედებითი დავალებების იდეები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები სტრუქტურულად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ განსაზღვრულ შინაარსობრივ კატეგორიებს. სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გამოყოფილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სამიზნე ცნებები და საკითხები. საფეხურიდან საფეხურამდე თემები თანმიმდევრულად რთულდება - დაწყებითში რიცხვებისა და სივრცითი ორიენტაციის საფუძვლებიდან (I კლასი) საბაზოში ალგებრულ გამოსახულებებამდე, ფუნქციებამდე (X კლასი) და საშუალოზე ტრიგონომეტრიამდე და ლოგარითმულ და მაჩვენებლიან ფუნქციამდე (XI–XII კლასი). **რჩევა**: მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, რამდენად შეესაბამება სასწავლო პროცესი კურიკულუმში დაგეგმილს, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტის პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
სპორტი	კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასა და საგნობრივი საფეხურეობრივი სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად. ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, სამიზნე ცნებებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	აქტივობების დაგეგმვა ხდება სკოლის ხელთ არსებული მატერიალური რესურსის შესაბამისად. სკოლა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ბიბლიოთეკას, ვირტუალურ ლაბორატორიას, კომპიუტერებს, პროექტორს, ქსეროქსს და სხვა მატერიალურ რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები ძირითად შემთხვევაში უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითად რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე დამატებით რესურსად სხვადსხვა ვიდეორგოლები, სატელევიზიო რეპორტაჟები, დოკუმენტური ფილმები და ა.შ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა მოწმობს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მოსწავლის ასაკის ,ინტერესების და საჭიროების გათვალისწინებით. გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად კურიკუმში ასახულია დამხმარე რესურსებიც, რაც შეესაბამება გაკვეთილის მიზანს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკლუმებში(მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მითითებულია დამატებითი სახელმძთვანელოები,სხვადასხვა ელექტრონული რესურსები. რომელის ვებ. გვერდებიც მოქმედია და ემსახურება სამიზნე ცნებების/ქვეცნებების უკეთ გააზრებას და კურიკულუმში დასახული მიზნების მიღწევას. **რჩევა:**სასურველია დაწყებითი და დაბაზო საფეხურის მუსიკის კურიკულუმებში ჩაშენდეს ის მრავალფეროვანი რესურსები,რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმებში პედაგოგების მიერ გაწერილი რესურსები მიზნობრივ შესაბამისობაშია სასწავლო პროცესთან, დოკუმენტებში ასახულია ელექტრონული რესურსებიც (მაგ: საგანმანათლებლო ლინკები, ანიმაციები, ფილმები).

	კათედრის სხდომის პირველივე ოქმში ერთ- ერთ საკითხად შეტანილია საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვა და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. აღნიშნულია, რომ დროულად უნდა მოხდეს დამატებითი რესურსების შეძენა და სასწავლო პროცესის ორგანიზებულად დაწყება. წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე, ნათელია ამ საკითხის პრიორიტეტულობა სკოლისთვის .**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
მათემატიკა	კურიკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსების გამოყენების ზოგადი ხედვა და სურვილი, რომ ისინი დაეხმაროს მოსწავლეს სასწავლო შედეგების მიღწევაში, სამივე საფეხურის კურიკულუმებში რესურსების სვეტი შევსებულია და მოიცავს როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ სასწავლო მასალას: ძირითად რესურსად ყველა კლასში მითითებულია სახელმძღვანელო კონკრეტული გვერდების მითითებით, ხოლო დამატებით გამოყენებულია ციფრული პლატფორმები: III-IV კლასში — YouTube-ის ვიდეორესურსები და ტელესკოლა, V-VI კლასში — Khan Academy, VII კლასში — ვიდეორესურსები, VIII კლასში — ilსკოლა და ტელესკოლა, X და XII კლასში — Khan Academy, YouTube და el.ge. აღსანიშნავია, რომ III, V და VI VII, VIII, კლასის კურიკულუმებში რესურსების სვეტი ძირითადად სახელმძღვანელოს გვერდების მითითებით შემოიფარგლება და ციფრული რესურსები პრაქტიკულად არ არის შეტანილი. I კლასში არ იხსნება არცერთი მათგანი, **რჩევა:** სასურველია III, V და VI VII, VIII, კლასის კურიკულუმებში დაემატოს ციფრული რესურსები, ასევე სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება სამივე საფეხურზე, ყველა კლასში ბმულების მითითება იყოს კონკრეტული გაკვეთილის დასახელებით, რათა მასწავლებელს რესურსის პოვნა და გამოყენება გაუადვილდეს. (მაგ. შესაძლოა ყველა რესურს გაუკეთდეს მსგავსი აღწერა: „ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა: სამკუთხედების მსგავსება). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
სპორტი	კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით და ელექტრონული რესურსი ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. (გამარჯობა რუბი, ელ რესურსი https://school.emis.ge/ კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები არაგრიფირებული დამხმარე სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორი შეესაბამება**

	სტანდარტის მოთხოვნებს .
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება III-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, პლაკატები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომელიც წარმოადგენს სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომლებზეც მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე მუშაობის დროს ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, იკვეთება დიფერენცირებული მიდგომა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. დაგეგმილ აქტივობებში, ინდ.გეგმებში, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველ დოკუმენტებში, შუალედურ სასწავლო მიზნად მოიაზრება კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირებული ვარიანტები. წარმოდგენილი ინდგეგმები მიანიშნებს, რომ მასწავლებლებს აქვთ წარმატებული პრაქტიკა ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებასთან მიმართებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და

	სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. დოკუმანტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სასწავლო პროცესის კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. ცხადია, რომ ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკაა თვალყური ადევნოს დიფერენცირებულ მიდგომებს. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებები მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
მათემატიკა	წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ინკლუზიური სწავლებისა და დიფერენცირებული მიდგომების შესახებ პირდაპირი მითითება არ მოიძიება, რაც კურიკულუმის ფორმატიდან გამომდინარე მოსალოდნელია. ამასთანავე, სკოლაში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, თუმცა მათ და საგნობრივ კურიკულუმებს შორის კავშირი დოკუმენტურად არ ჩანს. **რჩევა:** მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს, რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კონკრეტული სტრატეგიები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სასწავლო პროცესში რეალურად გათვალისწინებული იყოს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას აღმოჩნდა რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს. საგანში ჰყავთ სსსმ მოსწავლეც, რომლისთვისაც შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იყო. პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს განხორციელებული აქტივობები , სადაც ნათლად ჩანს ამ ბავშვების აქტიური ჩათულობა, სხვადასხვა მიმართულებით. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას.ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებისათვის. შესაძლებლობების ფარგლებში ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას.ადგენენ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში სწავლა სწავლების პროცესში დასახული მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა იყენებს სამ კოპონენტიან შეფასებას, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ფასდებიან, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებით, დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება მე-5 კლასში მეორე სემესტრიდან მე-6 კლასში კი მთელი წლის განმავლობაში, დანარჩენი კლასები ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით. პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საუბრისას აღინიშნა, რომ კვლავაც გააგრძელებენ რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . როგორც აღნიშნეს ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს განმავითარებელი შეფასების მიცემისას ძირითადად იყენებენ ზეპირ ფორმას, თუმცა საჭიეროების შემთხვევაში გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, ძირითად შემთხვევაში ეფუძნება სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემების ფარგლებში მოცემულ სწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, აღსანიშნავია საბაზო საფეხურზე გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების მიმართულებით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** სასურველია **დაწყებით (ჩვენი საქართველო), საბაზო (ისტორია) და საშუალო (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) საფეხურებზე** საგნების ფარგლებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

უცხოური ენები	კურიკულუმებში წარმოდგენილია შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და ნათელია, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუდან დასტურდება, რომ კათედრაზე დაგეგმილია სადიაგნოსტიკო ტესტირების/დავალების წარმოება, რაც დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და უკეთ დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა. შეფასების ინსტრუმენტების დახვეწის მიზნით, სასურველია, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, ნათლად აისახოს კრიტერიუმები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც , თავის მხრივ დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. ასევე, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაეფუძნოს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და დააკონკრეტოს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსი ქვესაკითხებთან მიმართებით. ასევე სასურველია, რომ კათედრამ უზრუნველყოს მოსწავლეთა თვითშეფასების/ურთიერთშეფასების ინსტრუმენტების ინტენსიურად შემუშავება და დახვეწა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებულია კონკრეტულ თემებზე, სრულად შეესაბამება სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ(მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნებისათვის. **რჩევა:**სასურველია, რომ საშუალო საფეხურის (მუსიკის/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების) შეფასების რუბრიკები უფრო დაიხვეწოს, მოერგოს კონკრეტული პროექტის შინაარსსა და მიზნებს, და მკაფიოდ წარმოაჩინოს მოსწავლის მიღწევის დონე თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით . **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა : პროექტის, პრეზენტაციის, ზეპირი და წერილობითი მეტყველების. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს, ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ეყრდნობა თემატურ კონტექსტებს. თუმცა, მათ კონკრეტულ თემაზე მორგებული შეფასების რუბრიკები ვერ წარმოადგინეს. **რჩევა:** წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვს, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა სასურველია სამივე საფეხურზე სკოლას ჰქონდეს შემუშავებული შეფასების რუბრიკები კონკრეტულ თემებთან და შუალედურ სასწავლო მიზნებთან მიმართებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საფეხურზე თითო ნიმუში. დოკუმენტები სტრუქტურულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს - განმავითარებელი რუბრიკა დაფუძნებულია სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე, განმსაზღვრელი კი მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს და ქულებს. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების მცირე რაოდენობა არ იძლევა სრულ სურათს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება შეფასება სხვადასხვა თემებში. ამასთანავე, დოკუმენტები ზოგადი ხასიათისაა და სკოლის სპეციფიკური კონტექსტი მათში არ იკვეთება. **რჩევა:** მიზანშეწონილია კათედრამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები ყველა საფეხურისა და ძირითადი თემისთვის და უზრუნველყოს, რომ ისინი რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სპორტი	სკოლამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ყველა მათგანი ემყარება საგნობრივ სტანდარტს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** . **რჩევა: სასურველია** შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში გაწერილი ყველა თემაზე
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა წარადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; პედაგოგი იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით სკოლა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში (ზოგადი, ცნებებთან მიმართებით აგებული და კონკრეტული, უშუალოდ დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებული) რჩევა: სასურველია, მსგავსი ტიპის რუბრიკები გამოიყენოთ მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშაოთ ახალი დავალებები და აქტივობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- რამდენიმე კომპლექსური დავალების ბარათი
- კომპლექსური დავალების დანართი
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული
- სახელმწიფო ენაში : ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები სამივე საფეხურზე;
- შემოქმედებითი დავალებები;
- სკოლის სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის ოქმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები მე-5 და მე-6 კლასებისთვის;
- პრეზენტაციის, ზეპირი და წერითი შეფასებების რუბრიკები (ზოგადი);
- ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია (მე-6 კლასი);
- პროექტი (მე-10 კლასი)
- მოსწავლეთა მიერ განხორციელებული შემოქმედებითი დავალების ფოტომასალა (,,ქართული ანბანი”)
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (I კლასი)
- მათემატიკა-საგნობრივი კურიკლუმები, შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები(მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საფეხურის შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი პროუქტები(ფოტო მასალა)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტის ვოდეო და ფოტო მასალებით, სადაც ასახულია კომპექსური დავალებების , პროექტების და სხვა აქტივობების ამსახველი კადრები, აქტივობების განხორციელებისას სკოლა იყენებს მათ ხელთ არსებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები, ანალიზი და რეფლექსიები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას სამივე საფეხურის შემთხვევაში წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი აღნიშნული კურიკულუმების შესაბამისად. როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დრო გამოჩნდა, კათედრა მუშაობს კურიკულუმით დაგეგმილ შუალედურ მიზნებზე, რასაც ადასტურებს მოსწავლეთა ნამუშევრების ფოტო და ვიდეო მასალები. **რჩევა:** სასურველია **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ 2026-2027 წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს გაითვალისწინოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და ყოველწლიურად შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების

	პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/ძირითადი საკითხების სხვაგვარად გადაჯგუფება; სასწავლო რესურსის დახვეწა/სხვა რესურსებით ჩანცვლება; ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული დავალებების პირობის ადაპტირება, შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება; შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და მათთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირების შეცვლა/განსხვავებულად დაჯგუფება; აქტივობებისა და დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა, რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის კონსტრუირება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესი ორგანიზებულია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და კურიკულუმში აღწერილ მიზნებსა და ამოცანებს. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები სწავლების პროცესში ითვალისწინებენ სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს, და ასწავლიან შესაბამისად დაგეგმილი თემატური ერთეულების თანმიმდევრობით. სასწავლო პროცესში გამოყენებულია ინტეგრირებული გაკვეთილები, საგნობრივშორისი კავშირების გაღრმავება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის უნარების განვითარებას რეალურ კონტექსტში და შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მიმართულებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზიტის დროს, მასწავლებლთან გასაბურების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. ეს კარგად ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში. სახელმწიფო ენის კათედრის დოკუმენტაციაში აღწერილია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები. მაგალითად: მე-10 კლასის პროექტი ,,ქართული იდენტობა და ევროპული კულტურის პარალელები'', მე-7 კლასში ჩატარებული გაკვეთილის (ვაჟა- ფშაველას ,,შვლის ნუკრის ნაამბობის " მიხედვით) რეფლექსია. გამოყენებული აქტივობები, მეთოდები და სასწავლო რესურსები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი სასწავლო კურიკულუმთან შესაბამისობაშია.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები I–XII კლასებისთვის, რომლებიც მოიცავს სამივე საფეხურს — დაწყებითს, საბაზოსა და საშუალოს. კურიკულუმები შედგენილია სასწავლო წლის შესაბამისად და მოიცავს თემებს, საკითხებს, კონტექსტ-მაგალითებსა და სასწავლო რესურსებს, რაც მიუთითებს სასწავლო პროცესის წინასწარ დაგეგმვაზე. **რჩევა:** მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი

	მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესის წარმართვისას და არა მხოლოდ დოკუმენტაციის მიზნით. ამისათვის სასურველია ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, თუ რამდენად ეყრდნობა მასწავლებელი კურიკულუმს პრაქტიკაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. სკოლა აქტიურად ასპარეზობს რაიონულ და რეგიონალურ შეჯიბრებზე , მოპოვებული აქვთ წარმატებები . წარმოადგინეს აქტივობების ამსახველ ფოტო მასალაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ტექნოლოგიები	სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება, სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, რაც ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დადასტურდა ინტერვიუს დროსაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. დავალებებზე მუშაობის პროცესში მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე. საჭიროებისამებრ ხდება გაკვეთილების დაწყვილება გადანაცვლება. დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი ადაპტირდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და მდგომარეობის მიხედვით. მასწავლებლების თქმით, შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, მაგ. თუ რომელიმე აქტივობამ ვერ იმუშავა სწავლების პროცესში, ხდება მისი ცვლილება სხვა აქტივობით. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი აზრისა და ცოდნის გამოხატვის

სხვადასხვა ფორმით, რაც ზრდის მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლა ითვალისწინებს მასწავლებლების გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს, რაც უწყობს ხელს გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას და სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას. **ინდიკატორი 2.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სკოლის პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული მოსწავლეთა შეფასების თავისებურებები, შეფასების რუბრიკებში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. რათა უზრუნველყოფილი იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწვალის მიმართ , რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან შეგვიძლია აღვნიშნოთ, მაგ. საბაზო საფეხურზე გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების მიმართულებით თუ სკოლა აღნიშნულ რუბრიკებს პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენებს შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშის რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია თემის ფარგლებში დასამუშავებელ გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, იკვეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა საკუთარი გამოცდილების გაანალიზებაზე დაყრდნობით შეიმუშაოს შეფასების მოქნილი სისტემა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებისთვის უმეტესად ნათელია რა პრინციპითაა შერჩეული შეფასების ინსტრუმენტი და რამდენად შეესაბამება შერჩეული ინსტრუმენტი სასწავლო მიზნებს. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარების მიზნით, სასურველია, რომ კათედრის სამოქმედო გეგმაში უფრო მკაფიოდ იყოს ასახული დაგეგმილ პროცესზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი პირები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. ეს კი შემდგომში უზრუნველყოფს დაგეგმილი პროცესის შეფასების მექანიზმის გამართულობას, რათა რეფლექსიის პროცესში ნათლად გამოიკვეთოს თუ რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა და რამდენად არის მიღწეული სტანდარტის შედეგები. ამასთან, სასურველია, რომ კათედრის სამოქმედო გეგმაში უფრო მკაფიოდ ჩანდეს შეფასების სისტემური ხედვა, რაც უზრუნველყოფს შეფასების მიზნის განსაზღვრისა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავების გამართულობას, რაც საკვანძო საკითხებია პროცესის დაგეგმვისას. სასურველია, რომ სასწავლო წლის ან

	სემესტრის დასაწყისში შექმნილი რუბრიკები წინასწარ მიეწოდოთ მოსწავლეებს ან/და ინტენსიურად მოხდეს მათი ჩართულობით შეფასების სქემების წარმოება. ეს უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას, რადგან მოსწავლეებს შეექმნებათ მკაფიო წარმოდგენა — რას, როდის და როგორ აფასებენ, რაც ზრდის მათი პასუხისმგებლობის განცდას და მოტივაციას. ამასთან, შეფასების ვალიდურობის უზრუნველსაყოფად, რუბრიკებში, დეტალურად აღიწეროს ზუსტად ის, რისი შეფასებაცაა განსაზღვრული. ნათლად იყოს ასახული თუ რა მოლოდინია მოსწავლისგან კონკრეტულ თემასთან (და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით და განისაზღვროს რამდენად სწორადაა შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი ზოგადი და კონკრეტული თემას მორგებული შეფასების რუბრიკების და ვიზიტის დროს გასაუბრების საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლას და კათედრას გათვალისწინებული აქვს შეფასების ძირითადი პრინციპები, შეფასების მიდგომებსა და კრიტერიუმებზე წინასწარვე არიან ინფორმირებული მოსწავლეები და მშობლები, კათედრა, ადმინისტრაცია მონიტორინგს უწევს შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას; კათედრის წევრები აღნიშნავენ , რომ შეფასების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა კიდევ სჭირდებათ და ჩართულნი არიან ამ პროცესში. **რჩევა:**სასურველია დაიხვეწოს და გამრავლფეროვნდეს საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები(მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განამვითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ- ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და ეფექტიანად იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს სასწავლო პროცესში. **რჩევა:**უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებად გვხვდება მხოლოდ ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველოს კონკრეტულ თემებთან და საკითხებთან მიმართებაში გაწერილი შეფასებების რუბრიკების შემუშავება , სამიზნე ცნებებისა და შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები VIII და X კლასებისთვის. VIII კლასის განმსაზღვრელი რუბრიკა მოიცავს 5 თემას — სიმრავლეს, გეომეტრიულ ფიგურებს, ალგებრულ გამოსახულებას, განტოლება-უტოლობასა და სტატისტიკას - რაც მიუთითებს სისტემური შეფასების მცდელობაზე. X კლასისთვის წარმოდგენილია სამი განსხვავებული რუბრიკა: ორი განმავითარებელი — „ლოგიკური ოპერაციების" და „რიცხვითი გამოთვლების" თემებზე და ორი განმსაზღვრელი გეომეტრიისა და ფუნქციების თემებზე. რუბრიკები სტრუქტურულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს - დაფუძნებულია სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე, განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები და ქულები. განმავითარებელ რუბრიკებში

	აღნიშნულია, რომ მასწავლებელი კონკრეტული მოსწავლის საჭიროებაზე მორგებულ კომენტარს გასცემს, რაც შეფასების ინდივიდუალიზაციაზე მეტყველებს. თუმცა წარმოდგენილი რუბრიკები ცოტაა და არ იძლევა სრული სურათის საშუალებას იმის შესახებ, თუ რამდენად სისტემური და თანმიმდევრულია შეფასება სხვა კლასებსა და საფეხურებზე. **რჩევა:** მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკები შემუშავდეს სხვა კლასებისა და თემებისთვისაც, რათა შეფასების სისტემა სკოლაში თანმიმდევრული და სისტემური იყოს. ასევე სასურველია შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის, ყველა მოსწავლეს თემის დაწყებამდე გაეცნოთ - ეს პრაქტიკა შეფასებას უფრო გამჭვირვალეს და სამართლიანს გახდის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტირების დოკუმენტები შემუშავებული ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიებში სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული შეფასების რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავიტარებელი შეფასება გამჭვირვალეა რადგან მოსწავლ ნათლად ხედავს საჭირო ინდიკატორებს და კრიტერიუმებს; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში შემუშავებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ხარისხს (სსიპ ქ.ქარელის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის N2-02). სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში ჩანს, რომ ვერიფიკაციის მიზანია სკოლაში შეფასების პროცესის სანდოობის, ვალიდურობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის და სამართლიანობის შემოწმება და დადასტურება. დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია ხორციელდება სწავლების ყველა საფეხურზე და მიზნად ისახავს შიდა შეფასების ჩატარებას, მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას სასკოლო კურიკულუმთან. ვერიფიკაციის პროცესს განახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი კათედრების მიხედვი. ინდიკტორი **2.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. სკოლაში ვიზიტის დროს სკოლას შენახული ჰქონდა მოსწავლეთა შედეგების აღრიცხვა და შემაჯამებელი სამუშაოები საგნობრივი კათედრების მიხედვით.

ინდიკატორი 2.2.1.5 . შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- შესრულებული შემოქმედებითი დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
- პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება;
- საგნობრივი პროექტები და კლუბური მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია ;
- გაკვეთილზე დასწრების დამადასტურებელი მასალა ;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციები ;
- ინდგეგმები;
- კათედრების ოქმები,სადაც შეფასების ერთიანი სისტემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები;
- კომპლექსური დავალების ბარათების ნიმუშები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	აქტივობების განხორციელებისას სკოლა იყენებს მათ ხელთ არსებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტის ვოდეო და ფოტო მასალებით, სადაც ასახულია კომპექსური დავალებების , პროექტების და სხვა აქტივობების ამსახველი კადრები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მოსწავლის რვეულებსა და კურიკულუმით განსაზღვრულ დამხმარე სასწავლო რესურსებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
უცხოური ენები	კურიკულუმში განსაზღვრულია ის ძირითადი და დამხმარე მატერიალური და სასწავლო რესურსები, რაც გამოიყენება სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში სკოლას მითითებული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. თემები და საკითხები (მუსკია/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)მიჰყვება ძირითად რესურს სახელმძღვანელოებს და შესაბამისობაშია სტანდარტის თემებთან და თემატურ ბლოკებთან. ძირითადი სახელმძღვანელობის გარდა, შემოქმედებითი დავალების განხორცილების მიზნით, კათედრა იყენებს დამატებით ელექტორნულ რესურს, რომელიც გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაწერილია კურიკულუმებში. ესაა დამხმარე ტექსტები, სახელმძღვანელოსთან ერთად, ისე სასწავლო თემებთან შესაბამისი ვიდეო და აუდიო მასალა, როგორებიცაა ანიმაციური, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს იმაზე, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებთან ერთად მიზნობრივად იყენებენ მათ.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
მათემატიკა	კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები სტანდარტულად, — სახელმძღვანელოები, GeoGebra, Desmos და Khan Academy. ზოგიერთგან რესურსების ჩამონათვალი ზოგადია (როგორც ზემოთ აღნიშნა ექსპერტმა), თუმცა გასაუბრებისას პედაგოგებმა მოიყვანეს რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ იყენებენ კონკრეტულ რესურსს კონკრეტული აქტივობის

	განხორციელებისას (მაგ.GeoGebra-ს და Desmos-ს გრაფიკების ასაგებად და ა.შ.) . **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სპორტი	სკოლა აქტიურად იყენებს ყველა საჭირო რესურს რაც ნათლად ჩანს სასკოლო კურიკულუმებში , რომელიც წარმოდგენილია ლინკების სახით. ასევე ამყარებს სკოლის წარმოდგენილი აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა განთავსებული პრიზებით, რაც მოიპოვეს სხვადასხვა შეჯიბრებში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ტექნოლოგიები	სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი რომელსაც სკოლა იყენებს კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობის განხორციელებისას შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ (მათ შორის, ენის, ეროვნების, სქესის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების და სხვა ხასიათის) ელემენტებს. ან რაიმე ნიშნით არ იწვევს სასწავლო პროცესისათვის ხელის შეშლას . **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსები ძირითად შემთხვევაში შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **რჩევა:** სასურველია **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ყოველწლიურად ახორციელებდეს დამხმარე რესურსების შეფასებას/შერჩევას მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებასა და მიზანმიმართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი ოქმები ცხადყოფს, რომ კათედრა ყოველწლიური შეხვედრების ფარგლებში, სისტემატურად განიხილავს სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამატებითი რესურსების შინაარსობრივი შესაბამისობის შეფასებას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე მათ პრაქტიკულ გამოყენებადობასა და და მოსწავლეთა საჭიროებებზე ადაპტირების ხარისხს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო,ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები,რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს,მიზანს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განამვითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ- ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და ეფექტიანად იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს სასწავლო პროცესში. **რჩევა:** უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებად გვხვდება მხოლოდ ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველოს კონკრეტულ თემებთან და საკითხებთან მიმართებაში გაწერილი შეფასებების შემუშავება , სამიზნე ცნებებისა და შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
მათემატიკა	არც ერთ დოკუმენტში არ ჩანს, როგორ შეირჩა დამხმარე რესურსები, თუმცა ისინი რაც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, გადამოწმებულია საგნობრივი ექსპერტის მიერ და მათი ვალიდურობა დასტურდება. **რჩევა:** სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

სპორტი	სკოლაში არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. კურიკულუმში გაწერილი რესურსიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამის რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ტექნოლოგიები	ადმოგზავნილ ფოტო მასალებში და ინტერვიუს დროს მასწავლებლის თქმიტ სკოლას არ გააჩნია საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა სრულად აღჭურვილი რაც ინდივიდუალურად მოსწავლის მუშაობის პროცესს აფერხებს, 12 კომპიუტერი მუშაოს 29 მოსწავლეთან; საჭირო დამხმარე რესურსები და მასალები სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და საზროვნო უნარების განვითარებისკენ. **რჩევა**. სასურველია სკოლამ წარმოადგინოს მოთხოვნა შესაბამისი რაოდენობის საჭირო ტექნიკაზე განათლების სამინისტროში; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება რესურსების ესგ-ისთან შესაბამისობა, მოწმდება ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით. **სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის საჭირო ოთახი, მაგრამ არ აქვს ლაბორატორიის აღჭურვილობა, რაც ხელს უშლის ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით.**

	სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 2026 წლის 23 დეკემბრამდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-ლაბორატორიული ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისთვის საჭირო პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა და დაცული იყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ დადგენილი მოთხოვნები. **ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
უცხოური ენები	კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად კათედრაზე ეფექტურად იყენებენ შესაბამის მატერიალურ რესურსებს. ასეთია კომპიუტერული ტექნიკა, მოძრავი პროექტორი, სხვადასხვა თემატური პლაკატები, ელექტრონული ინტერაქტიული თამაშები და სხვადასხვა საგანმანათლებლო ელექტრონული პლატფორმა. თვითშეფასების კითხვარშიც და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა , რომ სკოლა აქტიურად ზრუნავს მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების მოზიდვასა და განახლებაზე, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სასწავლო პროცესს და ზრდის მის ეფექტიანობას. სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან,სასწავლო ტრენინგებიდან. სკოლა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით . **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სკოლას უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურას კონკრეტული პედაგოგები ასწავლიან, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე - სხვა პედაგოგები, თუმცა ისინი სისტემატურად თანამშრომლობენ და ერთმანეთს უთანხმებენ ყველა საჭირო საკითხს თუ რესურსს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
მათემატიკა	ზოგიერთ კურიკულუმში ჩანს, რომ ზოგი აქტივობა ითხოვს გარკვეული მასალების ან ტექნიკის გამოყენებას (მაგალითად, საზომი სახაზავი, დაფა, კომპიუტერი). პედაგოგების თქმით, სკოლის მხრიდან ამ ნივთების მიწოდება უზრუნველყოფლია და იყენებენ კიდეც. **ინდიკატორი შეესაბამება**

	სტანდარტის მოთხოვნებს .
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ტექნოლოგიები	სკოლა ნაწილობრივ აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური რესურსით, კომპიუტერებით ელ საშუალებებით; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ ქ. ქარელის N1 საჯარო სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი მასწავლებლები რომლებიც ფლობენ შესაბამის გამოცდილებასა და კვალიფიკაციას, რაც ასევე დასტურდება მასწავლებლების პირადი საქმეებისა და ხელშეკრულებების შესწავლით, ასევე ელექტრონული ბაზების გადამოწმებით. სკოლაში მუშაობს საგნობრივი მენტორი და მოწვეული მასწავლებელი. ყველა საგანს ასწავლის სპეციალიზებული და კვალიფიციური მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) პედაგოგები ასისტენტებთან ერთად, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია, ბილიოთეკარის დამხმარე, IT სპეციალისტი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ადამიანური რესურსების მართვა.

ინდიკატორი 2.2.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები; გაკვეთილის გეგმები.
- შემოქმედებითი დავალებების ბარათები მშობლებისთვის ;
- პედაგოგის რეფლექსია;
- საგნობრივი პროექტები, პრეზენტაციები ;
- კათედრის ოქმები;
- რესურსების რეესტრი და ფოტოაღწერა;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- შესრულებული შემოქმედებითი დავალების ფოტომასალა;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები ;
- მასწავლებელთა ხელშეკრულებები;
- საბუნებისმეტყველო კაბინეტით სარგებლობის გრაფიკი
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების და ელექტრონული ბმულების ნუსხა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები და პოლიტიკა განსაზღვრულია კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. როგორც ზემოთ აღვწერეთ, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგს და შეფასებას. აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია, თუ როგორ, რა აქტივობებითა და საშუალებებით განხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად , თითოეული პედაგოგი ვალდებულია წარუდგინოს კათედრას კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, ხოლო კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც განხორციელდა კურიკულუმში წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულად ხორციელდება კათედრების დონეზე კურიკულუმის ანალიზისა და ურთიერთდასწრების გზით. ამასთან, სკოლის დირექცია, ხარისხის მართვის ჯგუფი და კათედრის წევრები ურთიერთდასწრებებისა და სასწავლო პროცესის ერთობლივი განხილვის საფუძველზე ახდენენ კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის მონიტორინგისა და მოსწავლეთა სწავლების პროცესში გამოვლენილი თითოეული პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით კათედრის წევრები ინტენსიურად იკრიბებიან, ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მრავალმხრივი მეთოდებით სადიაგნოსტიკო წერები(პედაგოგებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ სადიაგნოსტიკო წერა დაგეგმილი აქვთ სასწავლო წლის ბოლოს), საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლების ჩანიშვნები, ურთიერთდასწრების შედეგად გაკეთებული მიგნებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ინფორმაცია სწავლა-სწავლების შესახებ მუშავდება იმისათვის, რომ მოხდეს აღმოჩენილი გამოწვევების გადაჭრის ეფექტიანი გზების მოძიება და ინტერვენციები კი აისახოს მომდევნო წლის საგნობრივ კურიკულუმში.**ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესები სკოლის განვითარებაში უკავშირდება სასკოლო საზოგადოების წევრების - მათ შორის მასწავლებლების, მოსწავლეების, ადმინისტრაციისა და მშობლების - მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის ადმინისტრაცია ესწრება გაკვეთილებს და პედაგოგისთვის კონსტრუქციული უკუკავშირით გარკვეულწილად ხელს უწყობს მის პროფესიულ ზრდას. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ გაკვეთილებზე

ურთიერთდასწრებას და ერთმანეთის შეფასებას. პედაგოგებს ადმინისტრაციის მხრიდან მუდმივად აქვთ ინფორმაციული ტიპის მხარდაჭერა ნებისმიერი აქტივობების შესახებ ,რაც მათ პროფესიულ წინსვლასა და განვითარებას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია ;
- ვერიფიკაციის წესი ;
- მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია;
- მასწავლებელთა გაკვეთილზე ურთიერთდასწრების შეფასების ფორმები;
- კათედრის ოქმები;
- ხარისხის მართვის დებულება ;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა ;
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია ;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს, როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელი შეფასების სისტემას. ამას ცხადყოფს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად კი სკოლა იყენებს მრავალგვარ მეთოდს, შემაჯამებელი თუ პროექტული შინაარსის მქონე დავალებები, სასკოლო ოლიმპიადები-სპორტში, შემეცნებითი ექსკურსიები სხვადასხვა საგანში და წრეები, კლუბური მუშაობები. ასევე დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერები. ამ აქტივობებიდან მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა მრავალმხრივად შეფასდეს და გამოიკვეთოს მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. **ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის კათედრების მიერ კურიკულუმების შექმნის/რევიზიის პროცესის პარალელურად იქმნება შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემის ფარგლებში და ემყარება გრძელვადიანი მიზნებს, რომელიც დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს

დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა კონტექსტით. კერძოდ, კათედრებზე არსებობს ურთიერთდასწრების კულტურა, მასწავლებელები აკვირდებინ პროცესს და გაცემული უკაკავშირის მიხედვთ ახდენენ რეკომედაციების შემუშავებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმით დამკვიდრებას. სსიპ ქ. ქარელის N1 საჯარო სკოლაში შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით ხდება. როგორც მტკიცებულებების ანალიზით, ასევე ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს, შეფასება განახორციელოს სხვადასხვა მიმართულებით. **ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლი ანალიზის ფორმები, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შეფასებები ,მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები, პოსტერები, კედლის გაზეთები. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ აქტიურად ხორციელდება დაკვირვება, საუბრები, უკუკავშირის გაცემა რომელიც აჩვენებს როგორ განუვითარდათ დროთა განმავლობაში მოსწავლეებს სააზროვნო უნარები და საგნობრივი ცოდნა. მონაცემები გამოიყენება როგორც გაკვეთილების, ისე ზოგადი სასწავლო პროცესის ანალიზისთვის, რაც სკოლას აძლევს საშუალებას, შეფასება დაუკავშიროს სწავლების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის წარმომადგენელთან შეხვედრებისა და წარმოდგენილი მასალების (მტკიცებულებების) ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სსიპ - ქ. ქარელის N1 საჯარო სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, სოციო-ემოციურ ფონს და ზოგად უნარებს. მასწავლებლები აფიქსირებენ მზაობას, რომ გააანალიზონ, როგორ მოქმედებს ეს ფაქტორები მოსწავლის შედეგებზე, განსაკუთრებით განმავითარებელი შეფასებისას. სკოლა შეფასების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისათან ერთად ფუნქციურ- კომპეტენტური უნარების განვითარებას, კერძოდ შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე და შედეგზე. კერძოდ, სოციუმი, ოჯახი, ტრადიციები. ასევე მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათთან კლასის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა, რაც ახდენს თითოეული მოსწავლის საჭიროებების მეტად გამოკვეთასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. შესაბამისად, სკოლაში მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები/ოქმები;
- შემოქმედებითი დავალების მიხედვით მოსწავლეთა ნამუშევრები;
- მოსწავლეების ისგ და სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები
- კათედრის ოქმები
- შეფასების ვერფიკაციის მექანზმი
- საგნობრივი პროექტები და კლუბური მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში მკაფიოდაა აღწერილი, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება ეფუძნება მიმდინარე პროცესების ანალიზს და რევიზიას. საჭიროებათა განსაზღვრა და რეკომენდაციების შემუშავება გათვალისწინებულია როგორც მონაცემთა შეგროვების ეტაპზე (მაგ. კათედრების შეხვედრები, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა),

ასევე კურიკულუმის ყოველწლიური განახლების პროცესში. შესაბამისად, სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების ჩართულობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას, რაც აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყოფს.
ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი, ჩართული მხარეების ფუნქცია- მოვალეობები, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, საუკეთესო პრაქტიკულ მაგალითებს, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციებს, შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. **ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ერთლიანი სამოქმედო გეგმა ;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი კათედრის ოქმები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები;
- მასწავლებელთა თვითრეფლექსიები;
- მშობელთა კრების ოქმები .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 08. 04 .2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: